

# სამაგისტრო პროგრამა „ტრანსპორტი“

## საგანი: ტრანსპორტის ექსპლუატაცია

1. მუშაობის პროცესში რომელ ნაწილში უფრო მეტად ფართოვდება დგუში?

ა) ზედა ნაწილში. ბ) შუა ნაწილში. გ) ქვედა ნაწილში. დ) ყველგან თანაბრად ფართოვდება.

2. დეტალების შეცვლის რომელი სისტემის დროს არის რესურსი სრულად გამოყენებული?

ა) ინდივიდუალური შეცვლის; ბ) ჯგუფური შეცვლის; გ) იძულებითი შეცვლის; დ) დადგენილი გარბენის შემდეგ.

3. სატრანსპორტო ნაკადის ძირითადი პარამეტრებია:

ა) ინტენსიურობა, შედგენილობა, მოძრაობის სიჩქარე, მოცდენების ხანგრძლივობა; ბ) მოძრაობის სიჩქარე და მოცდენების ხანგრძლივობა; გ) ინტენსიურობა და მოძრაობის სიჩქარე; დ) ავტომობილის რაოდენობა და სიჩქარე;

4. საავტომობილო საექსპლუატაციო მასალების ძირითადი წყაროა

ა) ნავთობი; ბ) ქვანახშირი; გ) მურა ნახშირი; დ) ტორფი.

5. რა დანიშნულება აქვს გენერატორს?

ა) ძრავიდან მიღებულ მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად რის საშუალებითაც მუხტავს აკუმულატორს, ეს უკანასკნელი კი კვებავს მომხმარებლებს.  
ბ) ძრავიდან მიღებულ მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად და კვებავს მომხმარებლებს, ამავდროულად მუხტავს აკუმულატორთა ბატარეასაც.  
გ) ძრავიდან მიღებულ თბურ ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად და კვებავს მომხმარებლებს, ამავდროულად მუხტავს აკუმულატორთა ბატარეასაც.  
დ) ძრავიდან მიღებულ მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად, რის საშუალებითაც მუხტავს აკუმულატორს, ეს უკანასკნელი კი კვებავს მომხმარებლებს.

6. რომელი სარქკლის თავს აქვს უფრო მაღალი ტემპერატურა?

ა). გამომშვებს. ბ).შემშვებს გ).ორივეს თანაბარი ტემპერატურა აქვს.  
დ).ორტაქტიან ძრავში–შემშვებს,ოთხტაქტიანში–გამომშვებს.

7. როდის მოძრაობს გამაგრებელი სითხე რადიატორის გავლით?

ა). ყოველთვის. ბ). როცა თერმოსტატი ღიაა. გ). როცა თერმოსტატი დაკეტილია.  
დ). როცა სითხის ტემპერატურა ნორმალურზე ნაკლებია.

8. რა ფარგლებში მერყეობს ცენტრალური ფილტრის როტორის ბრუნვის სიხშირე?

ა). 1000...2000 ბრ/წთ. ბ). 2000...3000 ბრ/წთ. გ). 3000...5000 ბრ/წთ. დ).5000...7000 ბრ/წთ.

9. ცვეთის რომელ სახეობას მიეკუთვნება აბრაზიული ცვეთა?

ა) მოლეკულურ–მექანიკური; ბ) კოროზიულ–მექანიკური; გ) მექანიკური; დ) ქიმიურ–მექანიკური.

**10. რომელი კოეფიციენტებით კორექტირდება ტექნიკური მომსახურების შრომატევადობა?**

ა)  $K_1$ ; ბ)  $K_1 \cdot K_3$ ; გ)  $K_3$ ; დ)  $K_4$ .

**11. რა არის მტყუნება?**

ა) სტრუქტურული პარამეტრების ნომინალურიდან გადახრა; ბ) სატრანსპორტო პროცესების შეწყვეტა; გ) უწყისივრობის ერთ-ერთი ფორმა; დ) წესიერულობის დარღვევა.

**12. მოძრაობის ინტენსიურობის განაწილებას სატრანსპორტო ქსელის მიხედვით გამოსახავენ:**

ა) სატრანსპორტო ნაკადების კარტოგრამით; ბ) სატრანსპორტო ნაკადების დიაგრამით; გ) სატრანსპორტო ნაკადების გრაფო-ანალიზური დიაგრამით; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**13. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისათვის კანკუთვნილ სატრანსპორტო გაანგარიშებებში მოძრაობის ინტენსიურობას ახასიათებენ:**

ა) საათური მნიშვნელობით დღე-ღამის ნებისმიერი დროისთვის; ბ) საათური მნიშვნელობით პიკის საათის დროს; გ) 15 წუთიანი მნიშვნელობებით; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**14. რას ნიშნავს ტერმინი “გზის სავალი ნაწილი”?**

ა) ტერმინი “გზის სავალი ნაწილი” ნიშნავს გზის ნაწილს, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობისათვის; ბ) ტერმინი “გზის სავალი ნაწილი” ნიშნავს გზის ნაწილს, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის; გ) ტერმინი “გზის სავალი ნაწილი” ნიშნავს გზის ნაწილს, რომელიც გამოიყენება ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობისათვის; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**15. თეორიულად 1 მეტრი სიგანის ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელისათვის გამტარუნარიანობა შეადგენს:**

ა) 1600 კაც/სთ; ბ) 2000 კაც/სთ; გ) 2400 კაც/სთ; დ) 1800 კაც/სთ;

**16. ავტობუსის მარშრუტზე ბრუნვის დრო ( $t_{\text{ბ}}$ ) ტოლია:**

ა) რეისის დროის; ბ) რეისის დროის ნახევრის; გ) სამი რეისის დროის; დ) ორი რეისის დროის;

**17. საექსპლუატაციო სიჩქარე ( $V_{\text{ექ}}$ ) ეწოდება ავტომობილის პირობით საშუალო სიჩქარეს:**

ა) ავტოპარკიდან მარშრუტის საწყის პუნქტამდე; ბ) ხაზზე მისი ყოფნის დროის განმავლობაში; გ) ბოლო პუნქტიდან ავტოპარკამდე; დ) მარშრუტის გაჩერებებს შორის.

**18. სატრანსპორტო მუშაობა გამოსახული მგზავრთბრუნვაში იზომება:**

ა) მგზავრებით; ბ) მგზავრკილომეტრებით; გ) წუთებით; დ) საათობით.

**19. ერთი მგზავრის მგზავრობის საშუალო მანძილი ( $l_{\text{გზ.}}$ ) ტოლია:**

ა) საწყის გაჩერებაზე ასული მგზავრების რაოდენობის; ბ) მარშრუტის სიგრძის; გ) ყველა მგზავრის მგზავრობათა მანძილების საშუალო არითმეტიკულის; დ) გადასარბენებს შორის არსებული საშუალო მანძილის.

**20. საავტომობილო ბენზინი ეწოდება ნავთობის ფრაქციას, რომლის დუდილის ტემპერატურული ზღვრებია:**

ა) 32-205°C; ბ) 20-150°C; გ) 80-160°C; დ) 120-240°C.

**21. რომელია შეკუმშული ბუნებრივი აირის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი?**

ა) მეთანი; ბ) პროპანი; გ) ბუთანი; დ) პენტანი.

**22. ოქტანური რიცხვი არის**

ა) ბენზინის ანტიდეტონაციური თვისებების საზომი აბსოლუტური ერთეული;

ბ) ბენზინის ანტიდეტონაციური თვისებების საზომი პირობითი ერთეული;

გ) ბენზინში ოქტანის შემცველობა; დ) ბენზინსო ოზოქტანის შემცველობა.

**23. დიზელის საწვავის უმნიშვნელოვანესი თვისებაა**

ა) თვითაალება; ბ) ოქტანური რიცხვი; გ) სუნი; დ) ზედაპირული დაჭიმულობა.

**24. ცილინდრების როგორი განლაგება არ შეიძლება გვექონდეს ძრავში?**

ა) ერთრიგა განლაგება ცილინდრების ვერტიკალური მდგომარეობით.

ბ) ერთრიგა განლაგება, როდესაც მათი ღერძი ვერტიკალთან 15-20° კუთხეს ადგენს.

გ) V-ს მაგვარი განლაგება, როცა მათი ღერძები ერთმანეთთან 20-25° კუთხეს ადგენს.

დ) ცილინდრების ისეთი განლაგება, როცა მათი ღერძები ერთმანეთთან ადგენენ 180° კუთხეს.

**25. რა არის ტექნიკური მომსახურების რეჟიმი?**

ა) შესრულების პერიოდულობა; ბ) სამუშაოს ჩამონათვალი; გ) შესრულების შრომატევადობა; დ) ერთობლიობა.

**26. რა არის სატრანსპორტო ნაკადი?**

ა) გზებზე მოძრავ მსუბუქ ავტომობილთა ერთობლიობა;

ბ) გზებზე მოძრავ სატვირთო ავტომობილთა ერთობლიობა;

გ) გზებზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებათა ერთობლიობა;

დ) გზებზე მოძრავ სატვირთო ავტომობილთა და ავტობუსთა ერთობლიობა;

**27. მარშრუტი არის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლისათვის:**

ა) წინასწარ დადგენილ პუნქტებს შორის გზასავალი; ბ) სავალი გზა ავტოპარკიდან საწყის პუნქტამდე; გ) სავალი გზა ბოლო პუნქტიდან ავტოპარკამდე; დ) მანძილი გაჩერებებს შორის.

**28. საავტომობილო საექსპლუატაციო მასალებს არ მიეკუთვნება:**

ა) ბენზინი; ბ) დიზელის საწვავი; გ) სამუხრუჭე სითხე; დ) რუხი თუჯი.

**29. ბენზინის შეფრქვევის მომუშავე კვების სისტემის რა სახეები არსებობს საწვავის მიწოდების ხერხის მიხედვით?**

ა) უწყვეტი, წყვეტილი. ბ) უწყვეტი, წყვეტილ-წერტილოვანი. გ) წყვეტილი, წყვეტილ-წერტილოვანი. დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

**30. როდის არის ავტომობილის საიმედოობის დონე მაღალი?**

- ა) შეძენის ხარჯები დიდია, ხოლო საექსპლუატაციო ხარჯები ნაკლები;
- ბ) საექსპლუატაციო ხარჯები დიდია, ხოლო შეძენის ხარჯები ნაკლები;
- გ) ორივე ხარჯები ტოლია; დ) ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი მუდმივია.

**31. ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოძრავი შემადგენლობის ინვენტარული (სიობრივი) რაოდენობა თითოეული დღისათვის შეადგენს:**

- ა)  $A_{ინვ.} = A_{მუშა} + A_{რემ.}$ ; ბ)  $A_{ინვ.} = A_{მუშა} + A_{რემ} + A_{მოც.}$ ; გ)  $A_{ინვ.} = A_{მუშა} + A_{მოც.}$ ; დ)  $A_{ინვ.} = A_{რემ} + A_{ტ.ა.}$

**32. რომელი მექანიზმი აადვილებს გადაცემების გადართვას?**

- ა). საკეტი. ბ). სინქრონიზატორი. გ). ფიქსატორი. დ). ყველა დასახელებული მექანიზმი.

**33. რა და რა სახის ხიდები არსებობენ ავტომობილში?**

- ა). მართვადი, სამუხრუჭო, წამყვანი, საყრდენი. ბ). სამუხრუჭო, წამყვანი, კომბინირებული, საყრდენი. გ). მართვადი, წამყვანი, კომბინირებული, საყრდენი. დ). სამუხრუჭო, საყრდენი, მართვადი, კომბინირებული.

**34. რომელი დეტალი ეწინააღმდეგება ვერტიკალურ სიბრტყეში თვლების სხვადასხვა მანძილზე გადაადგილებას?**

- ა). ამორტიზატორი. ბ). ზამბარა. გ). სტაბილიზატორი. დ). მიმართველი მოწყობილობა.

**35. რატომ გამოიყენებენ სატვირთო ავტომობილში ორმაგ რესორებს?**

- ა). დიდია დატვირთვები. ბ). ხშირად უწყვეტ არასწორი რელიეფის მქონე გზებზე ექსპლოატაცია. გ). დატვირთვები იცვლება დიდ ზღვრებში. დ). ხიდებს შორის დატვირთვების თანაბრად განაწილებისათვის.

**36. როგორ იცვლება ტექნიკურად მზადყოფნის კოეფიციენტი გარბენის მიხედვით?**

- ა) იზრდება; ბ) მცირდება; გ) მუდმივია; დ) ცვალებადია.

**37. რომელ დეტალებზე გამოიყენება ულტრაბგერითი გარეცხვა?**

- ა) მარტივი კონფიგურაციის დეტალებზე; ბ) რთული კონფიგურაციის და მცირე ზომის დეტალებზე; გ) მცირე დაჭუჭყიანებულ დეტალებზე; დ) სუფთა დეტალებზე.

**38. გზაჯვარედინის სირთულის და პოტენციური საშიშროების შეფასება წარმოებს :**

- ა) საკონფლიქტო წერტილების რაოდენობით; ბ) გადამკვეთი ქუჩების რაოდენობით;
- გ) მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რაოდენობით; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**39. სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული უსაფრთხოების სახეებია:**

- ა) აქტიური, პასიური, ავარიის შემდგომი და ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- ბ) კონსტრუქციული და ტექნოლოგიური უსაფრთხოება; გ) საქარხნო და სარემონტო უსაფრთხოება; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**40. რა არის ავტომობილის აქტიური უსაფრთხოება:**

- ა) აქტიური უსაფრთხოება არის ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებების კომპლექსი, რომელიც ამცირებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგის სიმძიმეს;
- ბ) აქტიური უსაფრთხოება არის ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებების კომპლექსი, რომელიც ამცირებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის აღმოცენების ალნათობას;

- გ) აქტიური უსაფრთხოება არის ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებების კომპლექსი, რომელიც ამცირებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მავნე გავლენას გარემოზე;
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**41. რა არის ავტომობილის პასიური უსაფრთხოება:**

- ა) პასიური უსაფრთხოება არის ავტომობილის თვისება შეამციროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის აღმოცენების ალბათობა; ბ) პასიური უსაფრთხოება არის ავტომობილის თვისება შეამციროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მავნე გავლენა გარემოზე; გ) პასიური უსაფრთხოება არის ავტომობილის თვისება შეამციროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგის სიმძიმე; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**42. როგორ წარმოებს სატვირთო ავტომობილების კლასიფიკაცია მთლიანი მასის მიხედვით?**

- ა) განსაკუთრებით მცირე ტვირთების 0,5ტ-მდე; ბ) მცირე ——— \| ——— 0,5-2ტ-მდე;
- გ) საშუალო ——— \| ——— 2-5ტ-მდე; დ) დიდი ——— \| ——— 5-15ტ-მდე;

**43. რა არის ტვირთბრუნვა?**

- ა) დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთი მიმართულებით გადაზიდული ტვირთის რაოდენობა; ბ) დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტვირთის გადაზიდვის შედეგად შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა;
- გ) დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა; დ) საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის შედეგად შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა.

**44. ცეტანური რიცხვი აფასებს დიზელის საწვავის**

- ა) თვითაალებადობას; ბ) დენადობას; გ) თბოუნარიანობას; დ) შეზეთვის თვისებებს.

**45. სატრანსმისიო ზეთების API-ის კლასიფიკაციის მიხედვით აღნიშვნა GL-3 აღნიშნავს, რომ ზეთი განკუთვნილია**

- ა) ცილინდრული კბილა გადაცემებისათვის; ბ) სპირალურ-კონუსური გადამცემებისათვის; გ) ჰიპოდური გადაცემებისათვის; დ) ყველა გადაცემებისათვის.

**46. რა ნაწილებისაგან შედგება მუხლა ლილვი?**

- ა). ძირითადი და საბარბაცე ყელეები, ლოყები, წინა ნაწილი კბილანებისა და შკივის დასამაგრებლად, მილტუჩი, საპირწონე, სიღრუე შეზეთვისათვის.
- ბ). ძირითადი და საბარბაცე ყელეები, მაფიქსირებელი ნახევარგოლი, წინა ნაწილი კბილანებისა და შკივის დასამაგრებლად, მილტუჩი, საპირწონე, სიღრუე შეზეთვისათვის.
- გ).ძირითადი და საბარბაცე ყელეები, წინა ნაწილი კბილანებისა და შკივის დასამაგრებლად, მილტუჩი, საპირწონე, სიღრუე გაგრილებისათვის.
- გ). ძირითადი და საბარბაცე ყელეები, ლოყები, წინა ნაწილი კბილანებისა და შკივის დასამაგრებლად, მაფიქსირებელი ნახევარგოლი, სიღრუე გაგრილებისათვის.

**47. რას იწვევს დამუხრუჭებისას თვლების ბლოკირება?**

- ა). იწვევა თვლების სრიალი, იზრდება ავტომობილის მდგრადობა და საბურავის ცვეთ, მცირდება დამუხრუჭების ეფექტიანობა.
- ბ).იწვევა თვლების სრიალი, მცირდება ავტომობილის მდგრადობა და დამუხრუჭების ეფექტიანობა, იზრდება საბურავის ცვეთა.

- გ).იწყება თვლების სრიალი, მცირდება ავტომობილის მდგრადობა, დამუხრუჭების ეფექტიანობა და საბურავის ცვეთა.
- დ).იწყება თვლების სრიალი, იზრდება ავტომობილის მდგრადობა, მცირდება საბურავის ცვეთა და დამუხრუჭებია ეფექტიანობა.

**48. რა განისაზღვრება 95%-იანი უმტყუნებლობის დონით?**

- ა) რესურსი პირველ მტყუნებამდე;
- ბ) საგარანტიო რესურსი;
- გ) მტყუნებათაშორისი ნამუშევარი;
- დ) უმტყუნებლობის სიდიდე.

**49. რა არის კატალიზატორის დანიშნულება**

- ა) რეაქციის სიჩქარის შეცვლა
- ბ) ანთების წინსწრების კუთხის რეგულირება
- გ) ნარევის შედგენილობის ოპტიმიზირება
- დ) ხმაურის დონის შემცირება

**50. სატვირთო გადაზიდვების როგორ ორგანიზაციას ეწოდება შერეული (მულტიმოდალური) გადაზიდვები?**

- ა) გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება ტრანსპორტის რამოდენიმე სახეობის გამოყენებით;
- ბ) გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება ტრანსპორტის მხოლოდ ერთი სახის (საავტომობილო) გამოყენებით;
- გ) გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტით;
- დ) კომბინირებული გადაზიდვები, როდესაც გადაზიდვები ხორციელდება რამოდენიმე ტრანსპორტის სახეობის გამოყენებით გადატვირთვების გარეშე (წყლის წინააღმდეგობების დაძლევა ბორნების გამოყენებით და რკინიგზის პლატფორმებზე მოძრავი შემადგენლობის კონტრეილერული გადაზიდვებით).

**(მოდული „სარკინიგზო ტრანსპორტი“)**

**1. რომელი დაწესებულება განეკუთვნება სავაგონო მეურნეობის ძირითად საწარმოო ქვედანაყოფს?**

- ა) ვაგონმშენებელი ქარხანა; ბ) სავაგონო დეპო; გ) ტექნიკური გასინჯვის პუნქტი;
- დ) საკვანძო სადგური;

**2. მატარებლის მოძრაობის სიჩქარის ზრდისას:**

- ა) სამუხრუჭე ძალა იზრდება; ბ) სამუხრუჭე ძალა უცვლელი რჩება;
- გ) სამუხრუჭე ძალა მცირდება; დ) სამუხრუჭე ძალა ნულის ტოლი ხდება

**3. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება მუშაობის ეკონომიკურ მაჩვენებელს?**

- ა) ვაგონის დინამიკური დატვირთვა; ბ) სრული რეისი; გ) პროდუქციის თვითღირებულება;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**4. რა შემთხვევაში მუშაობს სარელსო წრედი შუნტურ რეჟიმში?**

- ა) როცა სარელსო წრედი დაკავებულია; ბ) დაზიანებულია; გ) რელსი გატეხილია;
- დ) წვიმაა.

5. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება რკინიგზის მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებელს?

- ა) ტვირთბრუნვა; ბ) ვაგონის ბრუნვა; გ) შრომის ნაყოფიერება;  
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

6. სარკინიგზო სადგურების რამდენი სახე არსებობს დღევანდელი კლასიფიკაციით?

- ა) 2 სახე; ბ) 3 სახე; გ) 4 სახე; დ) 5 სახე.

7. ოთხდერძა ელექტრომაგლის წვევის ძრავები ჩართეს მიმდევრობით – პარალელურად, რის ტოლი იქნება თითო ძრავაზე მოდებული ძაბვა, თუ საკონტაქტო ქსელში ძაბვაა 3000ვ:

- ა) 1500ვ; ბ) 750ვ; გ) 3000ვ; დ) 1000ვ.

8. რა მანძილს შეადგენს საქართველოს რკინიგზაზე ლიანდაგში რელსების მუშა ქიმებს შორის დაშორება?

- ა) 1435 მმ; ბ) 1676 მმ გ) 1520 მმ.; დ) 1700 მმ.

9. რომელი ცნობა გაფორმდება ახსნითი შეკეთებაში მისაწოდებელ ვაგონზე?

- ა) ვუ-10; ბ) ვუ-23; გ) ვუ-35; დ) ვუ-45.

10. ექსპლუატაციაში რეალურად როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ვაგონის ტარის ტექნიკურ, დასატვირთ და საექსპლუატაციო კოეფიციენტებს შორის?

- ა)  $K_{ტ} = K_{დ} = K_{ს}$ ; ბ)  $K_{ტ} < K_{დ} < K_{ს}$ ; გ)  $K_{ტ} > K_{დ} > K_{ს}$ ; დ)  $K_{ტ} = K_{დ} < K_{ს}$ .

11. როგორი ძალები შეიძლება მოქმედებდეს ვაგონზე მოძრაობის დროს (ვერტიკალური, გრძივი, განივი)?

- ა) მხოლოდ ვერტიკალური; ბ) მხოლოდ გრძივი; გ) მხოლოდ განივი; დ) ყველა ძალა ერთდროულად.

12. რომელი ძალების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ვაგონის არამდგრადი მდგომარეობა?

- ა) ვერტიკალური ძალების; ბ) გრძივი ძალების; გ) ჩარჩოს ძალების;  
დ) განივი, ცენტრიდანული და ქარის დაწოლის ძალების.

13. რომელი სადგურები მიეკუთვნებიან რკინიგზის ტექნიკურ სადგურთა რიცხვს?

- ა) სამგზავრო და საპორტო სადგურები; ბ) შუალედური და დამხარისხებელი სადგურები;  
გ) დამხარისხებელი და საუბნო სადგურები; დ) სპეციალიზებული სადგურები.

14. რას ეწოდება სამანევრო ნახევარრეისი?

- ა) სამანევრო შემადგენლობის გადაადგილებას მიმართულების შეცვლით;  
ბ) სამანევრო შემადგენლობის გადაადგილებას მიმართულების შეუცვლელად;  
გ) სამანევრო შემადგენლობის გადაყენებას ერთი ლიანდაგიდან მეორეში;  
დ) სამანევრო შემადგენლობის გადაყენებას გამწევ ჩიხში.

15. მანევრების წარმოების დროს ვაგონთან ან ვაგონთა ჯგუფთან ლოკომოტივის (ვაგონებით ან უვაგონოდ) მიახლოების სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს?

ა) 3 კმ/სთ; ბ) 5 კმ/სთ; გ) 7 კმ/სთ; დ) 10 კმ/სთ.

**16. სად არიან განლაგებული შუალედური სადგურები?**

ა); სატრანსპორტო კვანძებში; ბ) სარკინიგზო კვანძებში;  
გ) ტექნიკურ სადგურებს შორის; დ) მასობრივი დატვირთვის სადგურებში.

**17. შუალედურ სადგურებში რომელი კატეგორიის მატარებელთა დამუშავება შეიძლება მოხდეს?**

ა) ტრანზიტი და გადამცემი; ბ) ამკრები და გამომტანი; გ) ჩქარი და აჩქარებული; დ) სამგზავრო.

**18. როცა ელექტრომავალზე წვეის ძრავები მუშაობს გენერატორულ რეჟიმში, ამ პროცესს ეწოდება:**

ა) რეკუპერაცია; ბ) ტრანსფორმაცია; გ) წვევა; დ) რევერსირება.

**19. შეჭიდების კოეფიციენტი მატარებლის სიჩქარის ზრდასთან ერთად:**

ა) იზრდება; ბ) მცირდება; გ) უცვლელი რჩება; დ) ნულის ტოლია.

**20. ტელემექანიკური სისტემის რომელი კვანძი ანიჭებს კოდის იმპულსებს გადაცემული ბრძანების შესაბამის ნიშნებს ?**

ა) იმპულსების გენერატორი; ბ) მანაწილებელი ; გ) დემიფრატორი; დ) შიფრატორი.

**21. ისრის მართვის რომელი სქემა გამოიყენება მცირე სადგურებზე ?**

ა) ორსადენიანი სქემა; ბ) ოთხსადენიანი სქემა; გ) შვიდსადენიანი სქემა; დ) ერთსადენიანი სქემა.

**22. სად გამოიყენება განშტოებული სარელსო წრედები ?**

ა) სადგურებში; ბ) გადასარბენებზე; გ) ხიდებზე; დ) გვირაბებში.

**23. ვაგონების პერიოდული შეკეთების რომელი ორი სახე არსებობს?**

ა) მიმდინარე და საქარხნო; ბ) ახსნითი და აუხსნელი;  
გ) საქარხნო და სადეპოო; დ) აწვევითი და ადგილობრივი.

**24. წვეის ძალის წარმოქმნის აუცილებელი და საკმარისი პირობაა:**

ა) ბორბალზე მოქმედებდეს მხოლოდ მაბრუნე მომენტი;  
ბ) ბორბალზე მოქმედებდეს მაბრუნე მომენტი და ბორბალსა და საყრდენ ზედაპირს შორის არსებობდეს შეჭიდება;  
გ) ბორბალზე მოქმედებდეს მაბრუნე მომენტი და ღერძზე დაწოლის ძალა;  
დ) ბორბალზე მოქმედებდეს მხოლოდ შეჭიდების ძალა.

**25. რა ტიპისაა რელე, თუ მის ღუზის მოზიდვის დროა  $0,1 \div 0,2$  წმ?**

ა) სწრაფმოქმედი; ბ) ნორმალურად მოქმედი; გ) ნელმოქმედი;  
დ) დროის რელე.

**26. სატვირთო სადგურში სატვირთო საბუთების გაფორმება ხდება:**

ა) ტექნიკურ ოფისში; ბ) არცერთი პასუხი არ არის სწორი; გ) სატვირთო ოფისში;  
დ) სასაქონლო ოფისში.

**27. საქართველოს რკინიგზაზე ექსპლუატაციაში რომელი მარკის რელსები შეიძლება იყოს?**



ა) P-15;      ბ) P-25;      გ) P-65;      დ) P-95.

**28. რას ნიშნავს მატარებლის განფორმირება?**

- ა) მიმღები პარკიდან გამგზავნ პარკში მის გადაყენებას;
- ბ) ვაგონთა დახარისხებას გამწევი ლიანდაგის ან გორაკის საშუალებით;
- გ) ვაგონთა მიწოდებას დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში;
- დ) ვაგონთა მიწოდებას მისასვლელ ლიანდაგებში.

**29. ტელემექანიკური სისტემის რომელი კვანძი ანიჭებს კოდის იმპულსებს გადაცემული ბრძანების შესაბამის ნიშნებს ?**

- ა) იმპულსების გენერატორი;    ბ) შიფრატორი;    გ) დემიფრატორი;    დ) მანაწილებელი.

**30. ვაგონის მოძრაობისას რა ძალა მოქმედებს რელსის მხრიდან ვაგონის თვლისადმი რელსთან კონტაქტის წერტილში?**

- ა) გადაადგილების ჰორიზონტალური ძალა;    ბ) ინერციის განივი ძალები;    გ) რელსის ვერტიკალური რეაქციის ძალები;    დ) ცენტრიდანული ძალები.

**31. რას უდრის მანძილი წყვილთვალის თვლების შიგა წახნაგებს შორის ვაგონებისათვის, რომლებიც მოძრაობენ მატარებლებში არაუმეტეს 120 კმ/სთ სიჩქარით?**

- ა)  $1443 \pm 3$  მმ;    ბ)  $1440 \pm 3$  მმ;    გ)  $1437 \pm 3$  მმ;    დ)  $1440_{-1}^{+3}$  მმ.

**32. რამდენი ტონა იანგარიშება მატარებლის წონის ყოველ 100 ტონაზე სატვირთო მატარებლებისათვის ერთიანი უმცირესი სამუხრუჭე დაწოლა?**

- ა) 35 ტონა;    ბ) 33 ტონა;    გ) 30 ტონა;    დ) 40 ტონა.

**33. რას უდრის 32 ღერძიანი ტრანსპორტიორის ტვირთამწეობა?**

- ა) 200 ტ;    ბ) 300 ტ;    გ) 480 ტ;    დ) 600 ტ.

**34. გაგზავნის სადგურში გასაგზავნად ტვირთის ჩაბარების შემდეგ, ტვირთგამგზავნს საბუთად რჩება:**

- ა) ზედნადები;    ბ) საგზაო უწყისი;    გ) სავაგონო ფურცელი;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**35. როგორია მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეების (სვლის დროების) მიხედვით მოძრაობის გრაფიკები?**

- ა) შეწყვილებული და არაშეწყვილებული;    ბ) პაკეტური და ნაწილობრივ პაკეტური;
- გ) პარალელური და არაპარალელური;    დ) გაჯერებული და არაგაჯერებული.

**36. რა მიეკუთვნება გამყოფ პუნქტებს?**

- ა) მხოლოდ სადგურები;    ბ) მხოლოდ ასაქცევეები, გადასწრების პუნქტები და სადგურები;
- გ) ასაქცევეები, გადასწრების პუნქტები, სადგურები, საგზაო პოსტები და გასასვლელი შუქნიშნები;    დ) მხოლოდ ასაქცევეები და გადასწრების პუნქტები.

**37. რომელი ვაგონნაკადი გვევლინება ორმხრივი სადგურების მუშაობის ხელის შემშლელ ფაქტორებად?**

- ა) ადგილობრივი ვაგონნაკადი;    ბ) ტრანზიტი გადამუშავებული ვაგონნაკადი;
- გ) კუთხური ვაგონნაკადი;    დ) ტრანზიტი გადაუმუშავებული ვაგონნაკადი.

**38. დატვირთვის გაზარტის მოხაზულობიდან ტვირთის გამოსვლის ზომების მიხედვით, უგაზარტობის მაქსიმალური ხარისხია:**

ა) 2; ბ) 4; გ) 6; დ) 8.

**39. რა შემთხვევაში მუშაობს სარელსო წრედი ნორმალურ რეჟიმში ?**

ა) როცა სარელსო წრედი დაკავებულია; ბ) თავისუფალია;  
გ) თავისუფალია და დაუზიანებული; დ) გაყინულია.

**40. რომელია ავტომატური რეგულირების სისტემის მდგრადობის ალგებრული კრიტერიუმი ?**

ა) მიხაილოვის; ბ) ნაიკვისტის; გ) ა. გურვიცის; დ) ი. ვეკუას.

**41. მუდმივ დენზე ელექტროფიცირებულ რკინიგზაზე ტერმინი ჩამიწება ნიშნავს:**

ა) საკონტაქტო ქსელის მიწასთან მიერთებას; ბ) საკონტაქტო სადენის მიწასთან მიერთებას;  
გ) კონსტრუქციის მიწაში ჩადებას; დ) კონსტრუქციის რელსთან მიერთებას.

**42. მუდმივ დენზე რეკუპერაციული დამუხრუჭების უზრუნველსაყოფად საჭიროა:**

ა) მარტო წვევის ძრავების გენერატორულ რეჟიმში გადაყვანა; ბ) მარტო დატვირთვის არსებობა კვების ზონაში; გ) წვევის ძრავების გენერატორულ რეჟიმში გადაყვანა და კვების ზონაში დატვირთვის არსებობა. დ) გამშვები რელსტატების არსებობა.

**43. უმრავლესობა არითმეტიკული და ლოგიკური ოპერაციებისა, რომლებსაც მიკროპროცესორი ასრულებს, თხოულობს ორ ოპერანდს, ერთ-ერთი მათგანი იმყოფება მეხსიერებაში ან რეგისტრში. მიუთითეთ, სად არის მეორეს ადგილსამყოფელი:**

ა) აკუმულატორში; ბ) ბრძანებათა მთვლელში; გ) მეხსიერების მისამართის რეგისტრში;  
დ) ბრძანებათა რეგისტრში.

**44. აკუმულატორი მიკროპროცესორის სხვა ბლოკებთან დაკავშირებულია მონაცემთა შიდა სალტით. ამ მიზნით მიკროპროცესორი რითი სარგებლობს?**

ა) 8 თანრიგით; ბ) 16 თანრიგით; გ) შემტანი და გამომტანი პორტებით;  
დ) ხაზებით, მათზე მიწოდებული ორობითი ნულებით.

**45. 8 თანრიგიან მიკროპროცესორს მეხსიერების 65536 განსხვავებული უბნის დამისამართებისათვის თანრიგთა რა რაოდენობა უნდა გააჩნდეს?**

ა) 6; ბ) 8; გ) 16; დ) 24.

**46. სატვირთო მატარებელში ბოლო რამდენ ვაგონს უნდა ჰქონდეს წესიერად მოქმედი ჩართული ავტომუხრუჭები?**

ა) ბოლო 2 ვაგონს; ბ) ბოლო 1 ვაგონს; გ) ბოლო 4 ვაგონს; დ) ბოლო 5 ვაგონს.

**47. რა დროის შეყოვნებით ხდება 0,018‰ და მეტი დახრილობის გაჭიანურებული დიდი ქანობის მქონე დაღმართიანი გადასარბენის წინ ავტომუხრუჭების შემოწმება?**

ა) ხუთწუთიანი შეყოვნებით; ბ) ათწუთიანი შეყოვნებით;  
გ) ოცწუთიანი შეყოვნებით; დ) ოცდაათწუთიანი შეყოვნებით.

**48. სად შეიძლება განლაგებული იქნენ ძირითადი და მოსაზრუნებელი დეპოები?**

ა) შუალედურ სადგურებში; ბ) სამგზავრო სადგურებში. გ) საკონტინერო მოედნებზე;  
დ) ტექნიკურ სადგურებში;

**49. რომელი ვაგონები მიეკუთვნება ადგილობრივს?**

ა) რომლებიც ტექნიკური და კომერციული დათვალიერების შემდეგ გააგრძელებენ მსვლელობას; ბ) რომლებსაც სადგურში უტარდებათ სატვირთო ოპერაციები; გ) რომლებიც განფორმირების სადგურიდან იგზავნებიან ერთ ჯგუფიანი მატარებლით; დ) რომლებსაც სადგურში უტარდებათ კომერციული ოპერაციები.

**50. კოლექტორულ ძრავას შეუძლია იმუშაოს:**

ა) მხოლოდ მუდმივ დენზე; ბ) მხოლოდ ცვლად დენზე; გ) როგორც მუდმივ, ისე ცვლად დენზე; დ) სამფაზა დენზე

**“სატრანსპორტო ლოგისტიკა“**

**1. რომელ ლოგისტიკურ ფუნქციებს მიეკუთვნება შემდეგ საქმიანობათა სახეები: შესყიდვები, წარმოება, გასაღება და განაწილება:**

- ა. საბაზისოს;
- ბ. საკვანძოს;
- გ. მხარდამჭერს;
- დ. შუალედურს.

**2. რომელი ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავს შესყიდვების პროცესების ეფექტურობას:**

- ა. მატერიალური რესურსების ხარისხი და რაოდენობა;
- ბ. მატერიალური რესურსები ხარისხი, ღრვის ფაქტორი და მიმწოდებელთა განლაგება;
- გ. ღრვის ფაქტორები და კლიენტთა რაოდენობა;
- დ. გადაზიდვის თვითღირებულება.

**3. ტვირთების საბაჟო გაფორმება როგორი სახის ლოგისტიკურ მოქმედებებს მიეკუთვნება:**

- ა. საბაზისო ლოგისტიკურ ფუნქციებს;
- ბ. საკვანძო ლოგისტიკურ ფუნქციებს;
- გ. მხარდამჭერ ლოგისტიკურ ფუნქციებს;
- დ. ლოგისტიკურ ოპერაციებს.

**4. შიდასაწარმოო ლოგისტიკური სისტემები აწარმოებენ მატერიალური და მასთან დაკავშირებული ნაკადების მართვასა და ოპტიმიზაციას:**

- ა. საამქროთა შორის;
- ბ. საწყობებსა და საამქროებს შორის;

გ. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის შიგნით;

დ. შიდა საწარმოო უბნებს შორის.

**5. გარე ლოგისტიკური სისტემები აწარმოებენ მატერიალური და მასთან დაკავშირებული ნაკადების მართვასა და ოპტიმიზაციას:**

ა. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გარეთ;

ბ. ლოგისტიკური სისტემის შიგა და გარე რგოლებს შორის;

გ. ტემინალურ კომპლექსსა და საწარმოს შორის;

დ. ტერმინალურ კომპლექსებს შორის.

**6. ინტეგრირებული ლოგისტიკური სისტემების ფორმირებისათვის განმსაზღვრელს წარმოადგენს:**

ა. ლოგისტიკის 8 წესი;

ბ. ლოგისტიკური კონცეფცია „ზუსტად დროში“;

გ. ლოგისტიკური დანახარჯების მინიმიზაცია და ხარისხის მართვის კონცეფცია;

დ. ინტეგრაციისა და კოორდინაციის თეორია.

**7. მაკროლოგისტიკური სისტემის მიზნებს წარმოადგენს:**

ა. პოლიტიკური, საწარმოო, ფინანსური ამოცანების გადაჭრა;

ბ. სოციალური, ეკონომიური და ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრა;

გ. შიგარეეკონომიური და რაიონული სასაქონლო მოძრაობის პრობლემების გადაჭრა;

დ. სასაქონლო მოძრაობის ქსელების შექმნა.

**8. როგორ იყოფა მართვის დონეების მიხედვით ფირმის ლოგისტიკური პერსონალი:**

ა. უმაღლესი, საშუალო და დაბალი რგოლების სამმართველო პერსონალი;

ბ. ორდღიანი სამმართველო პერსონალი (უმაღლესი და საშუალო);

გ. უმაღლესი და დაბალი რგოლის ხელმძღვანელი;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**9. ლოგისტიკური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს:**

ა. ფირმის წარმოების მიღწევას;

ბ. ფირმის სტრატეგიული მიზნების შესრულებასა და საკონკურენციო უპირატესობის შექმნას;

გ. საკონკურენციო უპირატესობათა შექმნას;

დ. გაყიდვების მაქსიმალური მოცულობების მიღწევას.

**10. ჩამოთვალეთ ინტერმოდალური გადაზიდვის ძირითადი ნიშნები:**

ა. გადაზიდვის ერთი ხელშეკრულება, რამოდენიმე გადამზიდავი, რამოდენიმე ოპერატორი;

- ბ. გადაზიდვის ერთი ხელშეკრულება, ტრანსპორტირების სხვადასხვა სახე, ერთიანი დოკუმენტი, გადაზიდვის ერთიანი პასუხისმგებლობა;
- გ. რამოდენიმე სახის ტრანსპორტი, რამოდენიმე სატრანსპორტო დოკუმენტი;
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**11. ლოგისტიკის მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს შემდეგი ნიშნები:**

- ა. შიდასაწარმოო, რესურსული, კომერციული;
- ბ. ფუნქციონალური, რესურსული, დარგობრივი;
- გ. ინტეგრაცია, კოორდინაცია;
- დ. ინტეგრაცია, კონტროლი.

**12. ჩამოაყალიბეთ საზღვაო ტრანსპორტის ძირითადი თავისებურებანი:**

- ა. გადაზიდვის დაბალი ღირებულება, დიდი ტვირთამწეობა, შეუზღუდავი გამშვებუნარიანობა, მცირე სიჩქარე, სეზონურობა;
- ბ. მაღალი სიჩქარე, მაღალი მწარმოებლურობა;
- გ. ფართო გამოყენება ექსპორტულ-იმპორტულ გადაზიდვებში, ტვირთების დაცულობა;
- დ. მაღალი გამტარუნარიანობა, დიდი ტვირთამწეობა, მაღალი სიჩქარე.

**13. რაში მდგომარეობს სატრანსპორტო ლოგისტიკის ძირითადი ამოცანები:**

- ა. ყველა სახის ტრანსპორტის ერთობლივი დაგეგმვა;
- ბ. სატრანსპორტო პროცესის ერთობლივი დაგეგმვა სასაწყობო და საწარმოო პროცესებთან ერთად;
- გ. ტრანსპორტის სახეთა მუშაობის შეთანხმება, ოპტიმალური მარშრუტების განსაზღვრა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

**14. ჩამოთვალეთ რესურსული ლოგისტიკის ძირითადი მდგენელები:**

- ა. მატერიალური, საინფორმაციო, ფინანსური, საკადრო;
- ბ. მატერიალური, სახელშეკრულებო, სატრანსპორტო;
- გ. საკადრო, ადმინისტრაციული, საინფორმაციო;
- დ. შიდასაწარმოო, სასაწყობო, ეკონომიკური.

**15. რა მიზანს ემსახურება ლოგისტიკური საქმიანობის სახეების დაყოფა ფუნქციებად და ოპერაციებად:**

- ა. დანახარჯების ჯგუფების გამოყოფისა და სისტემის პროექტირების-სინთეზის (ანალიზის. მიზნებს;
- ბ. სისტემის ეფექტურობის განსაზღვრის მიზნებს;
- გ. იერარქიული სტრუქტურის აგებას;
- დ. ლოგისტიკური ქსელის შექმნას.

16. საერთო ლოგისტიკურ დანახარჯებში რომელ ლოგისტიკურ ფუნქციებს უკავია დომინირებული მდგომარეობა:
- ა. მარაგების მართვასა და ტრანსპორტირებას;
  - ბ. ტრანსპორტირებასა და დასაწყობებას;
  - გ. შესყიდვების პროცედურებსა და მატერიალურ მენეჯმენტს;
  - დ. გაყიდვის შემდგომ მომსახურებას.
17. რომელი საკვანძო ლოგისტიკური ფუნქცია მიიჩნეოდა ლოგისტიკის სინონიმად და რა პერიოდში:
- ა. ტრანსპორტირება XX საუკუნის 60-70-იან წლები;
  - ბ. მარაგების მართვა XX საუკუნის 20-50-იან წლები;
  - გ. ფიზიკური განაწილება XX საუკუნის 50-70-იან წლები;
  - დ. მარკეტინგი XX საუკუნის 90-იან წლები.
18. ჩამოთვლილი ლოგისტიკური ოპერაციებიდან რომელი სრულდება ფინანსურ ნაკადებზე:
- ა. დატვირთვა, განტვირთვა, გადატვირთვა;
  - ბ. ანგარიშსწორება კლიენტურასთან, დაზღვევა, საკუთრების უფლების გადაცემა;
  - გ. ინფორმაციის შეკრება, გადამუშავება გადაცემა;
  - დ. შეფუთვა და სერვისული მომსახურება.
19. რა ნიშნებით ხასითდება ლოგისტიკური სისტემის სირთულე:
- a. მრავალეფემენტიანობა, ქვესისტემის ურთიერქმედების რთული ხასიათი, რთულად ორგანიზებული მართვა, გარემოს ალბათური ფაქტორების დიდი სიუხვე;
  - b. ურთიერთქმედების რთული ხასიათი, მართვის სირთულე, ფაქტორების დიდი სიუხვე;
  - გ. მრავალმიზნიანობა, მართვის მრავალდონიანობა;
  - დ. სისტემის მთლიანობა.
20. შიდასაწარმოო ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირების ოპტიმიზაციის კრიტერიუმებს წარმოადგენს:
- ა. საბრუნავი კაპიტალის მაქსიმალური ბრუნვა;
  - ბ. მარაგების მინიმალური დონე;
  - გ. პროდუქციის მინიმალური თვითღირებულება და საწარმოო პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა;
  - დ. მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება.
21. რას წარმოადგენს ფუნქციონალურ-ლოგისტიკური გარემო:

- ა. ინტეგრირებული მიკროლოგისტიკური სისტემების პროცესების კომპოზიცია თანმხლებ ფინანსურ და საინფორმაციო ნაკადებთან;
- ბ. შიგალოგისტიკური სისტემების კომპოზიცია გარე ლოგისტიკურ გარემოსთან;
- გ. გაყიდვის შემდგომი მომსახურების ობიექტების კომპოზიცია საქონელგამტარ ქსელებთან;
- დ. მეზოლოგისტიკური სისტემები.

**22. მაკროლოგისტიკურ გარემოში ფირმების ოპტიმიზაციის კრიტერიუმების სახით გამოიყენება:**

- ა. შეკვეთების შესრულების მინიმალური ვადები;
- ბ. საწარმოო ციკლის მინიმალური ხანგრძლივობა, მაქსიმალური მწარმოებლობა;
- გ. ლოგისტიკური ფუნქციების მაქსიმალური ხანგრძლივობა;
- დ. საერთო ლოგისტიკური დანახარჯების მინიმუმი, გაყიდვების მაქსიმალური მოცულობა, ბაზრის მაქსიმალური წილის მოპოვება, ბაზარზე პოზიციების შენარჩუნება.

**23. სახელმწიფო (ტრანსნაციონალური. ლოგისტიკური სისტემის ფორმირება წარმოებს:**

- ა. რეგიონალურ დონეზე;
- ბ. სახელმწიფო დონეზე;
- გ. გლობალური კომპანიების დონეზე;
- დ. ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების დონეზე.

**24. ლოგისტიკური მენეჯმენტი მიწოდების პროცესში აწარმოებს:**

- ა. საქონლის, მათი მარაგების, სერვისისა და მასთან დაკავშირებული ეფექტური და მწარმოებლური ნაკადების დაგეგმვას, რეალიზაციასა და კონტროლს;
- ბ. საქონლის, მათი მარაგების, სერვისისა და ნაკადების დაგეგმვას რეალიზაციასა და კონტროლს;
- გ. მაკრო და მიკროლოგისტიკური სისტემებში ნაკადების დაგეგმვას, კოორდინაციასა და ინტეგრაციას;
- დ. ლოგისტიკური სისტემის რგოლების ფუნქციონირების კოორდინაციასა და ინტეგრაციას.

**25. სატრანსპორტო ფირმის სრული ღირებულების ჯაჭვის (პირამიდის. კომპონენტებს წარმოადგენენ:**

- ა. წარმოება, მარკეტინგი და გაყიდვების სერვისი;

- ბ. წარმოება, მარკეტინგი და გაყიდვების ორგანიზაცია;
- გ. მხარდამჭერი და საკვანძო ფუნქციები; გარე და შინაგანი ლოგისტიკა, მოგება;
- დ. შესყიდვები, პერსონალის მართვა, ინვესტიციები.

**26. ჩამოთვალეთ ტრანსპორტის ძირითადი სახეები:**

- ა. პნევმოკონტეინერული, კოსმოსური, ტრანსკონტინენტალური;
- ბ. სარკინიგზო, საბაგირო, პნევმოკონტეინერული, მიწისქვეშა;
- გ. საავტომობილო, კომბინირებული, პნევმატური;
- დ. საავტომობილო, სარკინიგზო, მილსადენის, საჰაერო, საზღვაო, სამდინარო.

**27. სატრანსპორტო სისტემა ეწოდება:**

- ა. გამგზავნი და მიმღები ტერმინალის: სამიმოსვლო გზებისა და მოძრავი შემადგენლობის ერთობლიობას;
- ბ. მოძრავი შემადგენლობის, სამიმოსვლო გზების, სტაციონარული მოწყობილობების, ტრანსპორტირების ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების ერთობლიობას;
- გ. მოძრავი შემადგენლობისა და მართვის სისტემის ერთობლიობას;
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**28. ჩამოაყალიბეთ სატრანსპორტო საწარმოთა თავისებურებანი:**

- ა. სატრანსპორტო საწარმოების ორმაგი როლი ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირებაში;
- ბ. შემაჯავალმატერიალურ ნაკადებს გარდაქმნისმატერიალურ მომსახურებად;
- გ. სატრანსპორტო პროდუქციის დასაწყობება ფუნქციონირებს განუსაზღვრელობის პირობებში;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

**29. ჩამოაყალიბეთ საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი თავისებურებანი:**

- ა. „კარიდან კარამდე“ გადაზიდვის შესაძლებლობა; მაღალი მობილურობა და სიჩქარე;
- ბ. ტვირთების მაღალი დაცვის უზრუნველყოფა;
- გ. ეკონომიკურობა მცირე მანძილებზე, გამოყენების შეზღუდულობა მცირე მანძილებზე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

**30. ჩამოაყალიბეთ საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი თავისებურებანი:**

- ა. გადაზიდვის მაღალი სიჩქარე;



- ბ. გადაზიდვის მანძილის შემცირება და ტვირთების მაღალი დაცვა;
- გ. შორეულ მიუდგომელ ადგილებში გადაზიდვების შესაძლებლობა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

**31. რა არის ლოგისტიკა?**

- ა. გადაზიდვის ხელოვნება
- ბ. მატერიალური ნაკადების მართვის ხელოვნება და მეცნიერება
- გ. სამეწარმეო საქმიანობა
- დ. მატერიალური ნაკადების დაგეგმვა და კონტროლი

**32. რომელი ფუნქციონალური სფეროები შედიან ლოგისტიკურ სტრუქტურაში?**

- ა. მარაგები და პროდუქციის ტრანსპორტირება
- ბ. დასაწყობება და სასაწყობო გადამუშავება
- გ. ინფორმაცია, კადრები, წარმოების მომსახურება
- დ. პასუხები: ა, ბ, გ

**33. რაში გამოიხატება ლოგისტიკის ძირითადი მიზანი?**

- ა. ხარჯების შემცირებაში
- ბ. პროდუქციის გადაზიდვაში
- გ. პროდუქციის აღრიცხვასა და დამუშავებაში
- დ. პროდუქციის მიზიდვა „ზუსტად დროში“

**34. რაში გამოიხატება ლოგისტიკის მართვის ამოცანა?**

- ა. პროდუქციის წინსვლის სფეროში ამოცანებისა და სტრატეგიის დამუშავების მექანიზმის უზრუნველყოფაში
- ბ. მომხმარებელთა სატრანსპორტო მომსახურების დამუშავებაში
- გ. შეკვეთის ოპტიმალური სიდიდის დადგენაში
- დ. დანახარჯების შემცირებაში

**35. რას ემსახურება მარაგები ლოგისტიკურ სისტემაში?**

- ა. მიმწოდებლის, მწარმოებლისა და მომხმარებელს შორის დამოკიდებულებათა შერბილებისათვის
- ბ. მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად
- გ. პროდუქციის დასამზადებლად
- დ. ლოგისტიკური სისტემის ეფექტურად მუშაობისათვის

**36. რა ფაქტორები ახდენს გავლენას ლოგისტიკურ სისტემაზე?**

- ა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი

- ბ. ტრანსპორტის სტრუქტურის ცვლილება
- გ. ფასები საწვავსა და მასალებზე ლოგისტიკური სისტემის ინფრასტრუქტურა
- დ. ყველა პასუხი სწორია

**37. რომელი მაჩვენებელი არის ძირითადი ლოგისტიკის სისტემის ანალიზი**

- ა. ზღვრული დანახარჯები
- ბ. საერთო დანახარჯები
- გ. მუდმივი დანახარჯები
- დ. ცვალებადი დანახარჯები

**38. რომელ ქვესისტემებთან ურთიერთქმედებს ლოგისტიკა?**

- ა. მარკეტინგთან
- ბ. წარმოებასთან
- გ. მენეჯმენტთან და სასაწყობო მეურნეობასთან
- დ. პასუხები ა, ბ, გ

**39. რა არის განაწილება?**

- ა. საქმიანობის სახე, სადაც შედის რეკლამა, პროდუქციის რეალიზაცია, ტრანსპორტირება და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა
- ბ. მომსახურების გაწევა
- გ. მარკეტინგული გამოკვლევები
- დ. პროდუქციის განაწილება

**40. რა არის ფიზიკური განაწილება?**

- ა. სხვადასხვა სახის პროდუქციის განაწილება
- ბ. მომსახურების გაწევა მომხმარებლისათვის
- გ. პროდუქციის მოზიდვა გამყიდველიდან მომხმარებლამდე
- დ. ნედლეულისა და მასალების მოზიდვა

**41. რა არის ფიზიკური უზრუნველყოფა?**

- ა. ნედლეულისა და მასალების მიზიდვა მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე
- ბ. პროდუქციის მიზიდვა მომხმარებლებთან
- გ. პროდუქციის მიზიდვა ავტოტრანსპორტით
- დ. მომსახურების გაწევა მომხმარებლისათვის

**42. რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ლოგისტიკური სისტემის მოდელის ეფექტურობა?**

- ა. მატერიალური ნაკადის მოცულობით

- ბ. სატრანსპორტო საშუალების გარბენით
- გ. მოგებით
- დ. ზღვრული შემოსავლით

**43. არსებობს თუ არა უნივერსალური ლოგისტიკური მოდელი?**

- ა. არსებობს
- ბ. არ არსებობს
- გ. არსებობს საზოგადოებრივი მოდელი
- დ. არსებობს დინამიკური მოდელი

**44. ლოგისტიკის მიზანია:**

- ა. შევქმნათ მატერიალური მარაგი
- ბ. შევქმნათ სასაწყობო მეურნეობა
- გ. პროდუქცია მიტანილ უნდა იქნას მოცემულ დროში საჭირო რაოდენობით და დანახარჯების მოცემული დონით
- დ. მარაგების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა

**45. რა ნაკადები არსებობს მოთხოვნისა და მიწოდების ოპტიმიზაციის პირობებში?**

- ა. ფიზიკური და საკომუნიკაციო
- ბ. საინფორმაციო, ფიზიკური
- გ. განაწილებითი
- დ. მომარაგების

**46. როგორი არსებობს მომხმარებლისათვის გადატვირთვის სახეები?**

- ა. პირდაპირი და შუამავლის მეშვეობით
- ბ. საწარმოო ხაზიდან
- გ. რეგიონალური საწყობიდან
- დ. ყველა პასუხი სწორია

**47. რა ძირითადი საზომები აქვს მატერიალურ ნაკადს?**

- ა. სატრანსპორტო მასა
- ბ. სატრანსპორტო გზა
- გ. სატრანსპორტო დრო
- დ. პასუხები: ა, ბ, გ

**48. როგორი არის მატერიალური ნაკადები რაოდენობრივი ნიშნით?**

- ა. მსხვილი
- ბ. წვრილი

გ. საშუალო

დ. პასუხები: ა, ბ, გ

**49. როგორი სახისაა მატერიალური ნაკადები ლოგისტიკურ სისტემასთან შედარებით?**

ა. შიდა და გარე

ბ. შემავალი და გამომავალი

გ. საერთაშორისო და საქალაქთაშორისო, შიდასაქალაქო

დ. პასუხები: ა, ბ, გ

**50. რას წარმოადგენს ტრანსპორტის პროდუქცია?**

ა. პროდუქციის გადაადგილება (ტ.კმ.

ბ. ტვირთის მასა (ტ.

გ. ტვირთის მოცულობა მ<sup>3</sup>

დ. პასუხები ა, ბ, გ

**51. სად და როდის წარმოიშვა ტერმინი „ლოგისტიკა“**

ა. ძველ საერძნეთში V საუკუნეში ჩვენს ერამდე

ბ. ძველ რომში I საუკუნეში

გ. ძველ ეგვიპტეში X საუკუნეში ჩვენს ერამდე

დ. ბიზანტიის იმპერიაში X საუკუნეში

**52. რას ნიშნავს ტერმინი „ლოგისტიკა“**

ა. გამოთვლის, განსჯის ხელოვნება

ბ. მოდელირების ხელოვნება

გ. საჯარო მომსახურებათა მოვალეობათა შესრულება

დ. გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული საქმიანობა

**53. სად ჩაისახა და ვინ იყო სამხედრო ლოგისტიკის თეორიის ფუძემდებელი?**

ა. ამერიკაში გრანტი

ბ. გერმანიაში ლაიბნიცი

გ. საფრანგეთში ნაპოლეონი

დ. რუსეთში ანრი ანტუან აციმინი

**54. რა არის სამხედრო ლოგისტიკა როგორც მეცნიერება?**

ა. მეცნიერება ჯარების გადაადგილების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვისა და მართვის შესახებ

ბ. მეცნიერება საბრძოლო მოქმედებათა მართვის შესახებ

- გ. ზურგის საქმიანობის უზრუნველყოფის შესახებ
- დ. არმიის უკანდახვევის მართვის შესახებ

**55. დროის რომელ პერიოდშიდაიწყო სამხედრო ლოგისტიკის პრინციპებმა გადმოსვლა სამხედრო სფეროდან სამეურნეო პრაქტიკის სფეროში.**

- ა. XX საუკუნის პირველ ნახევარში
- ბ. XIX საუკუნის I ნახევარში
- გ. XX საუკუნის 80-იან წლებში
- დ. XXI საუკუნის დასაწყისში

**56. რამდენ ჯგუფად იყოფა ლოგისტიკაში გადასაწყვეტი ამოცანები?**

- ა. სამ ჯგუფად: გლობალური, საერთო და კერძო
- ბ. ოთხ ჯგუფად: გლობალური, შუალედური, საერთო და კერძო
- გ. ორ ჯგუფად: საერთაშორისო და ეროვნული
- დ. ხუთ ჯგუფად: საერთაშორისო, რეგიონული, რაიონული საქალაქო და მიკროლოგისტიკური

**57. რისი ინტეგრაცია და კოორდინაცია წარმოებს ლოგისტიკური საქმიანობის პროცესში?**

- ა. ლოგისტიკური ოპერაციების, პროცედურებისა და ფუნქციების
- ბ. პროცედურებისა და ფუნქციების
- გ. მატერიალური და მისი თანმხლები ნაკადების
- დ. მართვის სუბიექტისა და ობიექტების საქმიანობის

**58. რაზეა დაფუძნებული ლოგისტიკური საქმიანობა:**

- ა. ლოგისტიკის 8 წესზე (8R).
- ბ. ლოგისტიკის 5წესზე (5 R).
- გ. ლოგისტიკის 6 წესზე (6 R).
- დ. ლოგისტიკის 9 წესზე (9R).

**59. ლოგისტიკური საქმიანობის მიზანს წარმოადგენს:**

- ა. ნაკადების მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა, გარემო ვითარებისადმი ადაპტაცია, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა
- ბ. მომხმარებელთა უფლებების სრული დაკმაყოფილება
- გ. მოგების მაქსიმიზაცია
- დ. მატერიალური ნაკადების კონტროლი

**60. რომელი ძირითადი ტერმინებია საჭირო ლოგისტიკის ფუნქციონირების სფეროების გამოსაყოფად**

- ა. ლოგისტიკა, შესყიდვების ლოგისტიკა, მასალების მენეჯმენტი, ფიზიკური განაწილება, მიწოდების ჯაჭვების მართვა
- ბ. ლოგისტიკა, დასაწყობებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკა
- გ. მარკეტინგი, მენეჯმენტი საინფორმაციო ლოგისტიკა, საერთაშორისო ლოგისტიკა
- დ. ყველა პასუხი სწორია

**61. ლოგისტიკური საქმიანობის რომელი სახეები მიეკუთვნება ორგანიზაციულ მართვას?**

- ა. მომარაგების, შეკვეთების წარმოების, მატერიალური ნაკადების წინსვლისა და გასაღების უზრუნველყოფა
- ბ. მომარაგებისა და ფიზიკური განაწილების მართვა
- გ. მომარაგებისა და საქონლის წინსვლის უზრუნველყოფა
- დ. პასუხები: გ და დ

**62. საქმიანობის რომელ სახეებს აერთიანებს ტექნოლოგიური მართვა:**

- ა. გადაზიდვების, სასაწყობო მეურნეობის, საინფორმაციო უზრუნველყოფის ნაკადების მოძრაობისა და დაგეგმვის, დანახარჯების ოპტიმიზაციის ტექნოლოგიების სრულყოფა
- ბ. გადაზიდვების, სასაწყობო მეურნეობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულყოფა
- გ. მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროების სრულყოფა
- დ. მატერიალური ნაკადების მართვის სრულყოფა

**63. ფუნქციონირების რომელ სფეროებს აერთიანებს ლოგისტიკა?**

- ა. შესყიდვების, საწარმოო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მარკეტინგის, სატრანსპორტო, მარაგების, საინფორმაციო, სასაწყობო და ეკონომიკური ლოგისტიკა
- ბ. მომარაგების, შესყიდვების, საწარმოო, გასაღებისა და განაწილების
- გ. საწარმოო, სამხედრო და საინფორმაციო ლოგისტიკას
- დ. ყველა პასუხი სწორია

**64. რა სახის კომპონენტებისაგან შედგება მატერიალური ნაკადი?**

- ა. ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი და მზა პროდუქცია, მეორადი რესურსები ტარა და შეფუთვა
- ბ. ნედლეული, მასალები, მზა პროდუქცია
- გ. ნედლეული ტარა და შეფუთვა, მეორადი რესურსები
- დ. ყველა პასუხი სწორია

**65. რა ნიშნებით ხასიათდება მზა პროდუქცია?**

- ა. სრული ტექნოლოგიური ციკლი, ტექნიკური კონტროლი, სრული კომპლექტაცია, საწვობში შენახვა, გადატვირთვისათვის მზადყოფნა
- ბ. სრული ტექნოლოგიური ციკლი, ბაზრის კონიუნქტურასთან შესაბამისობა
- გ. სრული კომპლექტაცია, გადატვირთვისათვის მზადყოფნა
- დ. პასუხები ბ და გ

**66. ლოგისტიკური სისტემების როგორ რგოლებს იცნობთ?**

- ა. წარმომქმნელი, გარდამქმნელი და შთანთქმელი
- ბ. წარმომქმნელი, კონცერვაციის შთანთქმელი
- გ. მარკეტინგული, საინფორმაციო, საბაზრო
- დ. ყველა პასუხი სწორია

**67. რომელი მაჩვენებელი არის ძირითადი ლოგისტიკური სისტემის ანალიზისათვის?**

- ა. ზღვრული დანახარჯები
- ბ. საერთო დანახარჯები
- გ. მუდმივი დანახარჯები
- დ. ცვალებადი დანახარჯები

**68. რისგან შედგება საერთო ლოგისტიკური დანახარჯები?**

- ა. დანახარჯები კომპლექსურ და დამხმარე ლოგისტიკურ ფუნქციებზე, მარაგებზე, ზარალით არასრულყოფილ მენეჯმენტზე, ლოგისტიკურ ადმინისტრირებაზე
- ბ. დანახარჯები მარაგების მართვასა და ტრანსპორტირებაზე
- გ. დანახარჯები საბაზრო ოპერაციებზე და ლოგისტიკურ ადმინისტრირებაზე
- დ. პასუხები ა, ბ, გ

**69. ვინ წარმოადგენს განაწილების ლოგისტიკური არხების მონაწილეებს?**

- ა. მიმწოდებლები, გადამზიდავები, სამრეწველო საწარმოები გამანაწილებელი ცენტრები, ტერმინალური კომპლექსები, შუამავლები, მომხმარებლები
- ბ. მიმწოდებლები, შუამავლები, მომხმარებლები
- გ. მარკეტინგული და საშუამავლო ფირმები, სატრანსპორტო ფირმები
- დ. ყველა პასუხი სწორია

**70. ჩამოთვალეთ ლოგისტიკური სისტემის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები**

ა. ლოგისტიკური სისტემა, ლს რგოლები, ლოგისტიკური ჯაჭვები, ლოგისტიკური ქსელი, ლოგისტიკური განაწილების არხები, უმაღლესი ლოგისტიკური მენეჯმენტი, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა

ბ. ოპერაციები და ფუნქციები, ლს რგოლები, ლოგისტიკური ჯაჭვები, განაწილების არხები

გ. მარკეტინგული სტრუქტურები, ლს რგოლები, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, უმაღლესი ლოგისტიკური მენეჯმენტი

დ. პასუხები ბ და გ

**71. ინვესტიცია არის:**

- ა. ფულის დაბანდება;
- ბ. ფულის ფანტკვა;
- გ. ფულის მოჭრა;
- დ. ფულის ცვეთა.

**72. ფასი არის:**

- ა. საქონლის ჭეშმარიტი ღირებულება;
- ბ. საცვლელი ღირებულება;
- გ. სადესანტო ღირებულება;
- დ. საამქვეყნო ღირებულება.

**73. სატრანსპორტო საწარმოს წლიური ბალანსი მოიცავს ორ ნაწილს:**

- ა. ზედა და ქვედა;
- ბ. აქტივი და პასივი;
- გ. დადებითი და უარყოფითი;
- დ. მთელი და ნაწილი.

**74. სატრანსპორტო ფირმის საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები**

**მიეკუთვნება: სატრანსპორტო საწარმოს**

- ა. გასართობ საშუალებებს;
- ბ. გასალანძღ საშუალებებს;
- გ. გასაბერ საშუალებებს;
- დ. მატერიალურ საშუალებებს.

**75. სატრანსპორტო საშუალებები მიეკუთვნება:**

- ა. მატერიალურ საშუალებებს;



- ბ. მასმედის საშუალებებს;
- გ. საბრუნავ საშუალებებს;
- დ. ნედლეულის საშუალებებს.

**76. სატრანსპორტო საწარმოს სააქციო საზოგადოების დირექტორი ინიშნება:**

- ა. პირადი განცხადებით;
- ბ. მასმედის წარდგენით;
- გ. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
- დ. მუნიციპალიტეტის მიერ.

**77. საქონლის და მომსახურების დამზადება არის:**

- ა. თამაში;
- ბ. წარმოება;
- გ. სწავლა;
- დ. მუშაობა.

**78. მართვის სტრუქტურა შეიძლება იყოს:**

- ა. სინუსოიდა;
- ბ. ხაზობრივი;
- გ. მრუდი;
- დ. პარაბოლა.

**79. მართვის სტრუქტურა შეიძლება იყოს:**

- ა. ფუნქციონალური;
- ბ. უწესრიგო;
- გ. მოწესრიგებული;
- დ. კაცური.

**80. მართვის მეთოდი შეიძლება იყოს:**

- ა. ეკონომიკური;
- ბ. სამოსწავლო;
- გ. სტუდენტური;
- დ. სამომხმარებლო.

**81. მართვის მეთოდი შეიძლება იყოს:**

- ა. პირდაპირი;
- ბ. ირიბი;
- გ. ადმინისტრაციული;
- დ. ჭრელი.

**82. საწარმოო ციკლი არის დროის ხანგრძლივობა:**

- ა. მუშაკის საწარმოში ყოფნის;

- ბ. ნედლეულის ჩაშვებიდან მზა პროდუქციამდე;
- გ. მზა პროდუქციის ტრანსპორტირების;
- დ. მზა პროდუქციის გაყიდვის.

**83. სატრანსპორტო ფირმაში დამატებითი ღირებულების გადასახადის განაკვეთი შეადგენს:**

- ა.. 10%-ი;
- ბ.. 12%-ი;
- გ.. 18%-ი;
- დ.. 20%-ი.

**84. სატრანსპორტო ფირმის მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს:**

- ა. 10%-ი;
- ბ. 15%-ი;
- გ. 20%-ი;
- დ. 25%-ი.

**85. სატრანსპორტო ფირმის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს:**

- ა. 10%-ი;
- ბ. 20%-ი;
- გ. 25%-ი;
- დ. 30%-ი.

**86. სატრანსპორტო ფირმის ქონების გადასახადის განაკვეთი არის:**

- ა. 1%-მდე;
- ბ. 2%-მდე;
- გ. 3%-მდე;
- დ. 10%-მდე.

**87. გარანტია უნდა გაფორმდეს აუცილებლად:**

- ა. ზეპირი ფორმით;
- ბ. წერილობითი ფორმით;
- გ. ნაბეჭდი ფორმით;
- დ. ნატვიფრი ფორმით.

**88. სატრანსპორტო საქმიანობაში დაზღვევა შეიძლება იყოს:**

- ა. ადგილობრივი;
- ბ. დისკრეტული;
- გ. გლობალური;
- დ. სავალდებულო.

**89. სატრანსპორტო ფირმებს შორის სამეურნეო დაგები შეიძლება განხილული იქნას:**

- ა. ზემდგომ ორგანოში;
- ბ. სამოქალაქო სასამართლოებში;
- გ. ტერიტორიულ მართვის ორგანოებში;
- დ. დარგობრივ სამინისტროში.

**90. საკუთრება შეიძლება იყოს:**

- ა. სათემო;
- ბ. სასოფლო;
- გ. საჯარო;
- დ. სამოსხელეო.

**91. საკუთრება შეიძლება იყოს:**

- ა. საუნივერსიტეტო;
- ბ. კოლექტიური;
- გ. კერძო;
- დ. საამხანაგო.

**92. სატრანსპორტო ფირმების უძრავი ქონება ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას:**

- ა. ლოგისტიკურ ცენტრში;
- ბ. სასამართლოში;
- გ. ქალაქის მერიაში;
- დ. საჯარო რეესტრში.

**93. სატრანსპორტო საშუალებების ლიზინგი არის:**

- ა. გრძელვადიანი იჯარა;
- ბ. მომენტალური იჯარა;
- გ. კოლექტიური იჯარა;
- დ. ინდივიდუალური იჯარა.

**94. კერძო საარბიტრაჟო სასამართლოებში სატრანსპორტო საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს:**

- ა. ერთი მხარის სურვილით;
- ბ. საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- გ. მხარეთა შეთანხმებით;
- დ. სასამართლო გადაწყვეტილებით.

**95. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეიძლება იყოს:**

- ა. დისკრეტული;
- ბ. დიფერენცირებული;
- გ. საგადასახადო;
- დ. მაშტაბური.

**96. დამატებითი ღირებულების გადასახადი მიეკუთვნება ბიუჯეტის:**

- ა. არასაგადასახადო შემოსავლებს;
- ბ. საგადასახადო შემოსავლებს;
- გ. ალბათურ შემოსავლებს;
- დ. გარანტირებულ შემოსავლებს.

**97. აქციზის გადასახადი მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტის:**

- ა. საგადასახადო შემოსავლებს;
- ბ. არასაგადასახადო შემოსავლებს;
- გ. არასრულ შემოსავლებს;
- დ. წილობრივ შემოსავლებს.

**98. სხვა სახელმწიფოებიდან მიღებული გრანტები მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტის:**

- ა. ხარჯებს;
- ბ. გასავლებს;
- გ. შემოსავლებს;
- დ. არცერთი არ არის სწორი.

**99. სახელმწიფო ბაჟი არის ბიუჯეტის:**

- ა. საგადასახადო შემოსავლები;
- ბ. არასაგადასახადო შემოსავლები;
- გ. ირიბი შემოსავლები;
- დ. პირდაპირი შემოსავლები.

**100. ექსპორტ-იმპორტის სალდო მიუთითებს:**

- ა. იმპორტის მეტობას ექსპორტზე;
- ბ. ექსპორტ-იმპორტის სხვაობას;
- გ. ექსპორტის მეტობას იმპორტზე;
- დ. იმპორტის მოცულობას.

**101. რომელი ფუნქციების შესრულება ევალება ტექნიკურ განყოფილებას?**

- ა. სატვირთო საბუთების გაფორმება გადასახიდა ტვირთზე;
- ბ. სამატარებლო საბუთების დამუშავება;
- გ. სატვირთო რაიონის მუშაობაზე კონტროლი;
- დ. სამანევრო ოპერაციების წარმოებაზე კონტროლი.

**102. რომელი ფუნქციების შესრულება ევალება სასაქონლო განყოფილებას?**

- ა. სადგურის მორიგის ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- ბ. სამატარებლო საბუთების დამუშავება;
- გ. საკონტენერო მოედნის მუშაობაზე კონტროლი;
- დ. სატვირთო საბუთების გაფორმება გადასახიდ ტვირთებზე.

**103. რკინიგზის ხაზის გამტარობის უნარს განსაზღვრავს:**

- ა. დღეღამის განმავლობაში გატარებული ტვირთების რაოდენობა;
- ბ. წლის განმავლობაში გატარებული ტვირთების რაოდენობა;
- გ. დღეღამის განმავლობაში გატარებული მატარებლების რაოდენობა;
- დ. თვის განმავლობაში გატარებული მატარებლების რაოდენობა.

**104. სატრანსპორტო პოცესის დროს რომელ სატვირთო საბუთზე აწერს ხელს ტვირთმიმღები ტვირთის მიღების შემდეგ?**

- ა. ზედნაღებზე;
- ბ. საგზაო უწყისზე;
- გ. ორივეზე ერთად;
- დ. სავაგონო ფურცელზე.

**105. სამგზავრო გადაზიდვების დროს მატარებლით მიმოსვლისას, რომელს ეწოდება ადგილობრივი?**

- ა. რომლის მოძრაობის სიშორეც შეადგენს 150 კმ-ს;
- ბ. რომლის მოძრაობის სიშორეც მერყეობს 150-700 კმ-ს ფარგლებში;
- გ. რომლის მოძრაობის სიშორეც შეადგენს 1700 კმ-ზე მეტს;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**106. რა იგულისხმება სატრანსპორტო ნაკადის შედგენილობის ქვეშ?**

- ა. სატრანსპორტო ნაკადში შემავალი მსუბუქი ავტომობილების თანაფარდობა;
- ბ. სატრანსპორტო ნაკადში შემავალი სატვირთო ავტომობილების თანაფარდობა;
- გ. სატრანსპორტო ნაკადში შემავალი სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების თანაფარდობა;
- დ. სატრანსპორტო ნაკადში შემავალი სატვირთო ავტომობილების და ავტობუსების თანაფარდობა;

**107. როგორ წარმოებს საავტომობილო ტრანსპორტით გადასაზიდი ტვირთების**

**კლასიფიკაცია მოცულობითი წონის მიხედვით?**

- |                            |                          |
|----------------------------|--------------------------|
| ა. I კლ. 1,0               | III კლ. 0,61-0,8 საშ.0,7 |
| II კლ. 0,81-1,0 საშ.0,9    | IV კლ. 0,45-0,6 საშ.0,5  |
| ბ. I კლ. 1,0               | III კლ. 0,51-0,7 საშ.0,6 |
| II კლ. 0,71-1,0 საშ.0,8    | IV კლ. 0,41-0,5 საშ.0,5  |
| გ. I კლ. 1,0 -0,81 საშ.0,9 | III კლ. 0,6-0,51 საშ.0,5 |
| II კლ. 8,0-0,61 საშ.0,7    | IV კლ. 0,41-0,5 საშ.0,5  |
| დ. I კლ. 1,0               | III კლ. 0,61-0,8 საშ.0,7 |
| II კლ. 0,8-1,0 საშ.0,9     | IV კლ. 0,51-0,6 საშ.0,5  |

**108. კონტეინერის მინიმალური ტევადობა ტონა:**

- ა. 0,5მ3;
- ბ. 1,0მ3;
- გ. 1,5მ3;
- დ. 2,0მ3

**109 რა არის ტვირთზიდვა?**

- ა. სატრანსპორტო პროცესის სრული ციკლი, რომელიც შედგება მოძრავი შემადგენლობის დატვირთვისაგან, ტვირთის გადაზიდვისაგან, განტვირთვისაგან და მოძრავი შემადგენლობის მიწოდებისაგან დასატვირთად;
- ბ. დროის გარკვეულ პერიოდში ერთი მიმართულებით გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;
- გ. დროის გარკვეულ პერიოდში გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;
- დ. დროის გარკვეულ პერიოდში შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა.

**110. რა არის ტვირთბრუნვა?**

- ა. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთი მიმართულებით გადაზიდული ტვირთის რაოდენობა;
- ბ. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტვირთის გადაზიდვის შედეგად შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა;
- გ. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;

დ. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის შედეგად შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა.

### **111. რა არის ტვირთნაკადი?**

- ა. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტვირთის გადაზიდვის შედეგად შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა;
- ბ. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;
- გ. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცალმხრივ (ერთი მიმართულებით) გადაზიდული ან გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა;
- დ. საავტომობილო ტრანსპორტით ცალმხრივ (ერთი მიმართულებით) ტვირთის გადაზიდვის შედეგად შესრულებული ან შესასრულებელი სატრანსპორტო მუშაობა).

### **112. სატვირთო გადაზიდვების როგორ ორგანიზაციას ეწოდება უნიმოდალური?**

- ა. როდესაც გადაზიდვები ხორციელდება ტრანსპორტის რამდენიმე სახეობის გამოყენებით;
- ბ. როდესაც გადაზიდვები კარიდან–კარამდე ხორციელდება მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით;
- გ. როდესაც გადაზიდვების განხორციელების დროს გადაიკვეთება სახელმწიფო საზღვარი;
- დ. როდესაც გადაზიდვები ხორციელდება ტრანსპორტის რამოდენიმე სახის გამოყენებით, ტრანსპორტის ერთი სახიდან მეორეზე გადატვირთვის გარეშე.

### **113. სატვირთო გადაზიდვების როგორ ორგანიზაციას ეწოდება შერეული**

**(მულტიმოდალური. გადაზიდვები?)**

- ა. გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება ტრანსპორტის რამოდენიმე სახეობის გამოყენებით;
- ბ. გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება ტრანსპორტის მხოლოდ ერთი სახის (სავტომობილო. გამოყენებით);
- გ. გადაზიდვები, რომელიც ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტით;
- დ. კომბინირებული გადაზიდვები, როდესაც გადაზიდვები ხორციელდება რამოდენიმე ტრანსპორტის სახეობის გამოყენებით გადატვირთვების გარეშე (წყლის

წინააღმდეგობების დაძლევა ბორნების გამოყენებით და რკინიგზის პლატფორმებზე მოძრავი შემადგენლობის კონტრეილერული გადაზიდვებით).

**114. სატვირთო გადაზიდვების როგორ ორგანიზაციას ეწოდება ინტერმოდალური?**

ა. საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვები ტვირთის კარიდან–კარამდე გადაზიდვით;

ბ. პირდაპირ გადაზიდვებს დანიშნულების პუნქტიდან მომხმარებელ პუნქტამდე;

გ. შერეულ გადაზიდვებს, რომელიც ხორციელდება ტრანსპორტის რამოდენიმე სახის გამოყენებით;

დ. კომბინირებული გადაზიდვები, როდესაც გადაზიდვები ხორციელდება ტრანსპორტის რამოდენიმე სახეობის გამოყენებით გადატვირთვების გარეშე (წყლის წინააღმდეგობების დაძლევა ბორნების გამოყენებით და რკინიგზის პლატფორმებზე მოძრავი შემადგენლობის კონტრეილერული გადაზიდვებით).

**115. რას გულისხმობს ჯაჭვის „მომარაგება-წარმოება-გასაღების“ აგება მარკეტინგის თამამედროვე კონცეფციის საფუძველზე:**

ა. დასაწყისში გასაღების სტრატეგიის, შემდეგ მშენებლობის განვითარებისა და წარმოების მომარაგების სტრატეგიის დამუშავებას

ბ. დასაწყისში წარმოების, ხოლო შემდეგ გასაღებისა და მარკეტინგის სტრატეგიის დამუშავებას

გ. ჯერ გლობალურ ბაზრებზე გასვლისა, ხოლო შემდეგ წარმოების სტრატეგიის დამუშავებას

დ. ყველა პასუხი სწორია

**116. რა როლს ასრულებს ლოგისტიკა მარკეტინგული კონცეფციის რეალიზებაში**

ა. წარმოადგენს მარკეტინგული კონცეფციისა და მისი რეალიზაციის საფუძველს

ბ. ლოგისტიკა ავითრებს სამეწარმეო საქმიანობისადმი ლოგისტიკურ მიდგომას, იმუშავებს მარკეტინგული კონცეფციის რეალიზაციის მეთოდებსა და აფართოებს და ამატებს თვით კონცეფციას

გ. აკავშირებს ერთმანეთთან საწარმოებს, მარკეტინგულ მიდგომებსა და რეალიზაციას უკეთებს ბაზარზე გასვლის სტრატეგიებს

დ. გვემავს მატერიალური ნაკადების მოძრაობის სტრატეგიებს

**117. როგორ განიხილება განაწილების საზღვრები ლოგისტიკაში?**

ა. პროდუქციის დასაწყობება, ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია



- ბ. პროდუქციის დაფასოება, შეფუთვა, ტრანსპორტირება და დასაწყობება
- გ. პროდუქციის შეფუთვა, ექსპედირება, გასაღებისა და ტრანსპორტირების მართვა
- დ. პროდუქციის წარმოება, რანსპორტირება და შენახვა

**118. ჩამოთვალეთ განაწილების ფუნქციები ლოგისტიკაში:**

- ა. მარაგების ფორმირება და განთავსება; სამეურნეო კავშირების დამყარება, მომსახურების გაწევა სასაქონლო მოძრაობის რაციონალური ფორმების შერჩევა
- ბ. მარაგების მართვა, სამეურნეო კავშირების ოპტიმიზაცია, რაციონალური მარშრუტების დაგეგმვა და ოპტიმიზაცია
- გ. მარაგების მართვა, შეფუთვები, დასაწყობება, ფასწარმოქმნა
- დ. ყველა პასუხი სწორია

**119. ჩამოთვალეთ განაწილების ლოგისტიკის თავისებურებანი ტრადიციული გასაღებისა და გაყიდვისგან:**

- ა. ყველა ფუნქციის დაქვემდებარება განაწილების ლოგისტიკის მიზნებსა და ამოცანებზე
- ბ. ნაკადების მართვის პროცესის დაქვემდებარება მარკეტინგისა და წარმოების სტრატეგიებზე
- გ. ნაკადების მართვის პროცესის დაქვემდებარება მარკეტინგის მიზნებსა და მოცანებზე, განაწილების პროცესის სისტემური ურთიერთკავშირი წარმოებისა და შესყიდვის პროცესთან, განაწილების შიგნით ყველა ფუნქციის სისტემური ურთიერთკავშირი
- დ. ყველა პასუხი სწორია

**120. რა წარმოადგენს შესწავლის ობიექტსა და საგანს განაწილების ლოგისტიკაში:**

- ა. შესწავლის ობიექტს წარმოადგენს მატერიალური ნაკადი მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე, ხოლო საგანს – პროდუქციის ფიზიკური წინსვლის პროცესის რაციონალიზაცია
- ბ. ობიექტს წარმოადგენს საინფორმაციო ნაკადი მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე, ხოლო საგანს- ტრანსპორტირების ოპტიმიზაცია
- გ. ობიექტს წარმოადგენს ფინანსური და ენერგეტიკული ნაკადები, ხოლო საგანს –ტრანსპორტირების ოპტიმიზაცია
- დ. ნაკადებისა და პროცესების ურთიერთკავშირი და ყველა პროცესის სისტემური ოპტიმიზაცია

**121. რა თვისებებით ხასიათდება ორგანიზაციული განაწილების ლოგისტიკა?**

- ა. დეკომპოზიციით, სტრუქტუროზატულობით, სინერგიზმით
- ბ. სირთულით, სინერგიზმითა და კონკრეტულობით
- გ. ემერჯენტულობით, სინერგიზმითა და კონკურენტულობით
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

**122. ჩამოთვალეთ მატერიალური ნაკადის წყაროები:**

- ა. საბითუმო ფასები, ტერმინალები, გასაღების ბაზრები
- ბ. ნედლეულის ბაზარი, ლოგისტიკური კომპანია, სადისტრიბუციო ცენტრი
- გ. ბროკერული საწარმო, სავაჭრო შუამავალი, გამანაწილებელი ცენტრი
- დ. შახტა, კარიერი, ქარხანა, გამანაწილებელი ცენტრი

**123. ჩამოთვალეთ პირველადი ლოგისტიკური არხის მონაწილენი:**

- ა. ბითუმად და ნახევრად ბითუმად მოვაჭრეები, მწარმოებლები, მომხმარებლები
- ბ. გადამზიდავები, ექსპედიტორები, აგენტები
- გ. მწარმოებლები, დისტრიბუტორები, გადამზიდავები
- დ. ყველა პასუხი სწორია

**124. ჩამოთვალეთ განაწილების ჰორიზონტალური არხის განმასხვავებელი ნიშნები:**

- ა. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მწარმოებლები და შუამავლები, თითოეული რგოლი წარმოადგენს დამოუკიდებელ პირს, მუშაობენ თავიანთი შიშითა და რისკით
- ბ. განაწილების არხის ერთ-ერთი მონაწილე წარმოადგენს დანარჩენის მესაკუთრეს
- გ. არხის ყველა მონაწილე წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს მოგების ინდივიდუალური განაწილებით
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

**125. რომელი ძირითადი ორი მიმართულება წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს თანამედროვე მსოფლიოში**

- ა. დარგების სტრუქტურისა და ტრანსპორტის დერეგულირება
- ბ. ბიზნესის გლობალიზაცია და ეკონომიკაში მომსახურების სექტორის გადიდება
- გ. ბარიერების მოხსნა და რეგიონალიზაცია
- დ. სპეციალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება

**126. რა ოპერაციებს ახორციელებენ სავაჭრო კომპანიები:**

- ა. საქონლის შექმნას უცხოეთში და მის რეალიზაციას ქვეყნის შიდა ბაზარზე
- ბ. წარმოებისა და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციას
- გ. გადაზიდვების ორგანიზაციას ანგარიშსწორების კონტრაგენტებთან
- დ. საქონლის შექმნასა და რეალიზაციას, სთავაზობენ მენეჯმენტს-კონსალტინგს აფინანსებენ და ამცირებენ რისკს, მზა მარკირებასა და გადაზიდვას უცხოეთის ბაზრებზე.

**127. რა უპირატესობით ხასიათდება ირიბი ექსპორტი:**

- ა. მოითხოვს ძალისხმევის მინიმუმს, ბაზრების ათვისება რიგ სიძნელეთა გვერდის ავლით; უმნიშვნელო ინვესტიციები ექსპორტიორის მხრიდან
- ბ. ფირმა აკონტროლებს საქონლის წინსვლასა და ფასს
- გ. ძალისხმევის მინიმუმი ქვეყნის შიდა განაწილების არხების ორგანიზაციაზე
- დ. მცირდება დოკუმენტების რიცხვი საერქსპორტო საქონელზე

**128. ჩამოთვალეთ საექსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული საექსპორტო**

**დოკუმენტაცია:**

- ა. ანგარიშ-ფაქტურა, საექსპორტო დეკლარაცია, ლიცენზიები
- ბ. საკონსულო ანგარიში, წარმოშობის სერტიფიკატი, კონოსამენტი
- გ. კომერციული ანგარიში, საკონსულო ანგარიში, წარმოშობის სერტიფიკატი, შესაბამისობის სერტიფიკატი, საექსპორტო დეკლარაცია, კომპლექტის სია, კონოსამენტები, ლიცენზიები
- დ. საგზაო ფურცელი, საერთაშორისო ნიმუშის მართვის მოწმობა, კონოსამენტი, წარმოშობის სერტიფიკატი

**129. რა მდგენელებისა და ელემენტებისაგან შედგება ლოგისტიკური ხარჯები?**

- ა. ხარჯები ლოგისტიკური ოპერაციების მართვაზე, მოწყობილობაზე, სათავსოზე, სასაწყობო მარაგებზე, მონაცემების გადაცემაზე
- ბ. ხარჯები შეკვეთების მართვაზე შუალედურ ტრანსპორტირებაზე, ინფორმაციის გადაცემაზე
- გ. დანახარჯები მომარაგებაზე, შიდასაქარხნო ტრანსპორტირებაზე, მონაცემების გადაცემაზე
- დ. დანახარჯები ტრანსპორტირებაზე, დასაწყობებაზე, საინფორმაციო უზრუნველყოფაზე

**130. რა ნიშნით გამოიყოფა ცვალებადი დანახარჯები საერთოდან?**

- ა. ესაა ხარჯები, რომლებიც დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე, შეკვეთების გადაწყობაზე, მათ განვითრებაზე, დასაწყობებაზე, ტრანსპორტირებაზე
- ბ. დანახარჯები პერსონალზე, საწყობებზე, ამორტიზაციაზე
- გ. დანახარჯები საბანკო, საინფორმაციო მომსახურებაზე, დაზღვევაზე, სატრანსპორტო მომსახურებაზე
- დ. ყველა პასუხი სწორია

**131. ჩამოთვალეთ ლოგისტიკური ხარჯების ანალიზის მეთოდები:**

- ა. სტრატეგიული ანალიზი, ღირებულებითი ანალიზი, ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზი
- ბ. ლოგისტიკური და სატრანსპორტო ანალიზი, აუდიტი, ფასების ანალიზი
- გ. სტრატეგიული და ღირებულებითი ანალიზი
- დ. სტრატეგიული გეგმის ღირებულებითი ანალიზი, ლოგისტიკური აუდიტი

**132. ჩამოთვალეთ პროდუქციის მარაგების შენახვის ხარჯების ელემენტები:**

- ა. ხარჯები ტრანსპორტირებაზე, შეკვეთის შესრულებაზე და მიღება-გაცემაზე
- ბ. ხარჯები მარაგების ინვესტიციაში, დაზღვევაზე, სასაწყობო შენახვაზე, პროდუქციის გადამუშავებაზე, მარაგების მორალურ ცვეთაზე
- გ. ხარჯები დასაწყობებაზე და ტექნოლოგიურ მოწყობილობებზე
- დ. ხარჯები პროდუქციის შენახვაზე და გადამუშავებაზე

**133. დანახარჯების რა მუხლებისგან შედგება 1ტ ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება?**

- ა. დატვირთვაზე, განტვირთვაზე, გადაზიდვაზე, შენახვაზე
- ბ. ტვირთის მომზადებაზე,ტარაზე, პაკეტირებაზე, გადაზიდვაზე, დასაწყობებაზე
- გ. დანახარჯები დატვირთვა-განტვირთვაზე, ტრანსპორტირებაზე, გზების რემონტზე და შენახვაზე, მოძრაობის ორგანიზაციაზე და უსაფრთხოებაზე, სასაწყობო შენახვაზე, ტვირთების მომზადებაზე და დასაწყობებაზე
- დ. შესყიდვებზე, დატვირთვაზე საკუთრივ გადაზიდვაზე, გადმოტვირთვაზე, საინფორმაციო უზრუნველყოფაზე

**134. რა შემთხვევაში მიეკუთვნება სასაწყობო ხარჯები საწარმოო ხარჯებს?**

- ა. როდესაც წარმოების პროცესი გრძელდება მიმოქცევის სფეროში
- ბ. როდესაც საწყობში ინახება პროდუქციის მიმდინარე და სადაზღვევო მარაგი
- გ. როდესაც საწყობი და სააქქროები მოთავსებულია ერთ კორპუსში
- დ. როდესაც საწყობში ინახება ლოგისტიკური პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მარაგების ნორმატიული მოცულობები

**135. რა ფუნქციებს ასრულებს მომარაგების სამსახური მატერიალური ნაკადების მართვაში?**

- ა. მატერიალური რესურსების შესყიდვა, მიზიდვა და დროებითი შენახვა
- ბ. პროდუქციის შესყიდვა, ტრანსპორტირება და გადამუშავება
- გ. პროდუქციის შესყიდვა, დახარისხება და შენახვა
- დ. შესყიდვა, შენახვა და გადამუშავება

**136. რა სამუშაო სრულდება მომარაგების სამსახურის ფარგლებში შრომის საგნებით უზრუნველყოფისას**

- ა. შესყიდვების ორგანიზაცია, ტრანსპორტირება და შენახვა
- ბ. ხელშეკრულების დადება, მისი შესრულების კონტროლი, მიზიდვისა და დასაწყობების ორგანიზაცია
- გ. შეკვეთების შესრულება, მისი კონტროლი და შენახვა
- დ. შესყიდვების ბაზრის განსაზღვრა, ხელშეკრულების დადება და კონტროლი

**137. რა მეთოდები გამოიყენება პოტენციური მომწოდებლების ძიების დროს?**

- ა. ანკეტირება და მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება
- ბ. კონკურსების, გამოკითხვებისა და მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება, კონტაქტების ჩამოყალიბება
- გ. კონკურსის გამოცხადება, სარეკლამო მუშაობა, გამოფენისა და ბაზრობების დათვალიერება, წერილობითი და პირადი კონტაქტები
- დ. მომწოდებლების სიის ფორმირება კომპლექსური გამოკვლევებით

**138. რა ეტაპებისაგან შედგება მიმწოდებელთა შესარჩევი ამოცანა?**

- ა. მომწოდებლების კომპლექსური შესწავლა და შეფასება, ლოგისტიკური სისტემის შეფასება და კონტროლი მათ საქმიანობაზე
- ბ. მომწოდებლების ადგილმდებარეობის შერჩევა, მათი მიწოდების ხარისხის შეფასება და გრძელვადიანი კონტრაქტების ფორმირება
- გ. მარკეტინგული გამოკვლევები, მათი დაგეგმვა და ამოცანების რეალიზაცია
- დ. პოტენციური მომწოდებლების პოტენციური სიის შედგენა, მათი ანალიზი და მათი მუშაობის შეფასება

**139. რა ფუნქციებს აერთიანებს კომერციული განაწილება?**

- ა. დაგეგმვის, ანალიზის, კონტროლირების და რეგულირების ფუნქციებს
- ბ. წარმოებისა და განაწილების დაგეგმვის ფუნქციებს
- გ. გასაღების, დაგეგმვის, კონტროლისა და რეგულირების ფუნქციებს
- დ. პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ამოცანების რეალიზაცია

**140. რა ფუნქციებისაგან შედგება პროდუქციის ფიზიკური განაწილება?**

- ა. შენახვის, შეკვეთების დამუშავების, მარაგების მართვისა და ტრანსპორტირების ფუნქციებს
- ბ. შენახვის, ტრანსპორტირების, დასაწყობებისა და გადამუშავების ფუნქციების დაგეგმვასა და კონტროლს
- გ. მომარაგების, შენახვის ტრანსპორტირებისა და შენახვის ფუნქციებს
- დ. შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ფუნქციებისაგან

**141 რამდენ სახედ იყოფა პროდუქციის მთელი ნომენკლატურა პროდუქციის ხასიათისა და მასზე მოთხოვნის ცვალებადობის ხარისხის მიხედვით?**

- ა. ექსკლუზიური და იშვიათი მოთხოვნის საქონელი
- ბ. მასიური, საშუალო და სპეციალური მოთხოვნის საქონელი
- გ. საშუალო მოთხოვნის, მოთხოვნის დონის ცვლილებებით, მასიური საქონელი სტაბილური მოთხოვნით, სპეციალური საქონელი ერთჯერადი მოთხოვნით
- დ. შიდა და გარე მოთხოვნის საქონელი

**142. რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან პირდაპირი კავშირების ლოგისტიკური სისტემები მოქნილი და ეშენოლირებულიდან?**

- ა. პირველი და მეორე სისტემებისათვის დამახასიათებელია ერთნაირი ორგანიზაციული სტრუქტურა
- ბ. პირველი შეიცავს ლოგისტიკურ შუამავლებს, მეორე კი – არა
- გ. პირველში ერთ-ერთი რგოლი წარმოადგენს სხვების მესაკუთრეს, მეორეში კი არა
- დ. პირველი არ შეიცავს საბითუმო-საშუამავლო ფირმებს, მეორე კი შეიცავს

**143. ჩამოთვალეთ შუამავლების ტიპები განაწილების არხში მათი ფინანსური საშუალებების წყაროებისა და განხორციელებული მწარმოებლებისაგან დამოკიდებულებით:**

- ა. დილერები, დისტრიბუტორები, კომისიონერები, აგენტები და ბროკერები
- ბ. მწარმოებლები, დისტრიბუტორები, მომხმარებლები
- გ. მიმწოდებლები, დისტრიბუტორები, მომხმარებლები
- დ. ყველა პასუხი სწორია

**144. რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საბითუმო შუამავლების ორგანიზაცია კონტრაქტულ და კორპორატიულ საფუძველზე?**

- ა. პირველისათვის დამახასიათებელია განაწილების კორზონტალური, მეორისათვის კი ვერტიკალური თვისებები
- ბ. პირველისათვის დამახასიათებელია მონაწილეთა გაერთიანება თავისუფალ სპეციალიზირებულ ასოციაციაში, მეორისთვის კი საქონლის სახის ანდა ჯგუფის გასაღების საკითხები შეტანილი კაპიტალის სისდიდის პროპორციულად
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

**145. რატომ აქვთ განვითარებულ ქვეყნებს უარყოფითი სალდო საგარეო ვაჭრობის ბალანსში:**

- ა. ექსპორტისა და იმპორტის ამსახველი ციფრები არ ითვალისწინებენ კომპანიების ფართო ტრანსკონტინენტალურ ოპერაციებს მოგების ყველაზე მაღალი პროცენტით
- ბ. არ ითვალისწინებენ უცხოურ ინვესტიციებს
- გ. არ ითვალისწინებენ შრომის საერთაშორისო დანაწილებას
- დ. არ ითვალისწინებენ რეგიონული ბაზრების თავისებურებებს

**146. საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის ცნობილ მეთოდებს (ვარიანტებს)**

**მიეკუთვნება:**

- ა. იმპორტი, გლობალიზაცია, ერთობლივი საწარმოები
- ბ. ექსპორტი, ლიცენზირება, ერთობლივი საწარმოები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
- გ. ეკონომიკური ექსპანსია, ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია
- დ. ტარიფებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეჟიმების უნიფიკაცია

**147. რა უპირატესობა აქვს პირდაპირ ექსპორტს?**

- ა. დაბანდებული კაპიტალის სწრაფი უკუგება და მაღალი მომგებიანობა
- ბ. მცირე დანახარჯები განაწილების სისტემის შექმნაზე
- გ. ფირმა პირდაპირ უკავშირდება საზღვარგარეთ მყოფ მიმღებელს, სრული კონტროლი საქონლის ბედზე, მაღალი მომგებიანობა ამაღლებული კონტროლის გამო
- დ. იზრდება განაწილების არხების მონაწილეთა პასუხისმგებლობა მოტივაციაზე და კონტროლზე

**148. ჩამოთვალეთ ირიბი ექსპორტის დროს საზღვარგარეთის ბაზრების დაუფლების მთავარი არხები**

- ა. საერთაშორისო სავაჭრო კომპანიები მყიდველი რეზიდენტები, ექსპორტული მოვაჭრე
- ბ. საზღვარგარეთის სავაჭრო აგენტები, სავაჭრო დარგები, პირდაპირი გაყიდვები საბოლოო მომხმარებლებთან
- გ. მყიდველი რეზიდენტები, საექსპორტო მმართველი კომპანია
- დ. ერთობლივი, სავაჭრო კომპანიები, საზღვარგარეთის სავაჭრო განყოფილება, საექსპორტო სახლი

**149 რომელი დანახარჯები მიეკუთვნება ლოგისტიკური ოპერაციების მართვას?**

- ა. დანახარჯები დამატებითი ღირებულების შექმნაზე, ბიზნესის მხარდაჭერაზე
- ბ. დანახარჯები პერსონალზე, მოწყობილობებზე, სასაწყობო გადაამუშავებაზე და ტრანსპორტირებაზე

- გ. დანახარჯები შეკვეთების განვითარებაზე, პროდუქციის მიწოდებაზე, შესყიდვაზე დასაწყობებაზე, შუალედურ ტრანსპორტირებაზე, მზა პროდუქციის შენახვაზე, გადატვირთვაზე, გარე ტრანსპორტირებაზე
- დ. დანახარჯები საწარმოო ოპრეაციებსა და გასაღებაზე

**150. რა ელემენტებისაგან შედგება დანახარჯები ლოგისტიკური ბიზნესის მხარდაჭერაზე?**

- ა. დანახარჯები შეკვეთების წარმოების განაწილების მართვაზე
- ბ. დანახარჯების ტრანსპორტირებაზე, დასაწყობებაზე, ხელშეკრულებების გაფორმებაზე
- გ. დანახარჯები ლოგისტიკურ ადმინისტრირებაზე, საინფორმაციო და ფინანსურ უზრუნველყოფაზე
- დ. დანახარჯები ტრანსპორტირებაზე, შეკვეთების გაფორმებაზე, პერსონალის მუშაობის შემოწმებაზე, პროდუქციის აღრიცხვაზე, ინფორმაციის გადაცემაზე

**151. რა ელემენტებისაგან შედგება ხარჯები პროდუქციის პარტიის მიწოდებაზე?**

- ა. ხელშეკრულების გაფორმებაზე, შეკვეთის განტავსებაზე, გაფორმებაზე, მივლინებაზე, პროდუქციის მიღებაზე
- ბ. ხარჯები შეკვეთის განტავსებაზე, ხელშეკრულების დადებაზე, გაფორმებაზე, მივლინებაზე, სატრანსპორტო ხარჯები, სამმართველო, პროდუქტის მიღებასა და დასაწყობებაზე
- გ. ხარჯები შეკვეთების განტავსებაზე, ტრანსპორტირებაზე, დასაწყობებაზე
- დ. ხარჯები შეკვეთების დამუშავებაზე, დოკუმენტაციის გაფორმებაზე, ტრანსპორტირებაზე, გაფორმებაზე

**152. ჩამოთვალეთ მომარაგების ხარჯების ძირითადი ელემენტები:**

- ა. ხარჯები შესყიდვებზე, შეფერხებები (დანაკარგები დეფიციტისაგან), მეთვალყურეობაზე, გადატვირთვებზე, დაკარგული კლიენტები, ჯარიმები, პერსონალის მოცდენა, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, დანაკარგები
- ბ. ხარჯები შესყიდვებზე, დანაკარგების დეფიციტი, პერსონალისა და ტრანსპორტის მოცდენა
- გ. დანაკარგები დეფიციტისაგან, ხარჯები მარაგების შევსებაზე, ტრანსპორტირების ხარჯები
- დ. ხარჯები მიწოდებების მართვაზე, ტრანსპორტირებაზე, მარაგების მართვაზე

**153. ჩამოთვალეთ სატრანსპორტო ხარჯების ძირითადი მდგენელები:**

- ა. ხარჯებისაწყის, საბოლოო და ტრანსპორტირების ოპერაციებზე



- ბ. ხარჯები პროდუქციის მომზადებაზე, დატვირთვაზე, ტრანსპორტირებაზე, გადმოტვირთვაზე
- გ. სატრანსპორტო ხარჯები – სატრანსპორტო ტარიფები და მოსაკრებლები, ტრანსპორტის შენახვის ხარჯები, დატვირთვა-განტვირთვის ღირებულება, ტვირთების ექსპედიციის ხარჯები
- დ. ხარჯები შიდა და გარე ტრანსპორტირებაზე

**154. რა ძირითადი ელემენტებისაგან შედგება პროდუქციის გაგზავნის ხარჯები?**

- ა. ხარჯები დატვირთვა განტვირთვაზე, გადატვირთვაზე და მომსახურებაზე
- ბ. ხარჯები სატრანსპორტო საშუალებებზე, ტვირთების გადამისამართებაზე, მოსაკრებლები; გარე ორგანიზაციის ხარჯები, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებსა და მომსახურებათა ხარჯები
- გ. დანახარჯების ჯამი ტვირთგამგზავნებთან
- დ. დატვირთვის, ტრანსპორტირებისა და განტვირთვის ხარჯები

**მოდული „საავტომობილო ტრანსპორტი“**

1. ჯ. იოსებიძე, დ. ფრიდონაშვილი. საავტომობილო ძრავის მოწყობილობა. სალექციო კურსი. გვ. 131. თბილისი, 2011.
2. ვ. მახალდიანი. შიგაწვის ძრავების თეორია „განათლება“, თბ.1977. -გ438 გვ.
3. ვ. ჯაჯანიძე. ავტომობილის რემონტის საფუძვლები”. ტექნიკური უნივერსიტეტი 2009 გვ. 210;
4. ვ. ქართველიშვილი, დ. ძოწენიძე, ნ. ნავაძე - “საავტომობილო გადაზიდვები”, სტუ, 2006 წ. გვ. 386.
5. ნ. ნავაძე, ვ. ქართველიშვილი, თ. გორშოვი - “სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები“. საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2009 წ. გვ. 412.
6. ჯ.იოსებიძე. გ.მიქაძე, გ.აბრამიშვილი, ა.ჩხეიძე, თ.აფაქიძე, ხ.მღებრიშვილი. ავტომობილების ეკოლოგიურობის საფუძვლები. ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.” თბილისი. 2009.158 გვ.
7. ჯ.იოსებიძე. გ.აბრამიშვილი. გ.მიქაძე, ა.ჩხეიძე, თ.აფაქიძე, ნ.დიასამიძე. ავტომობილების ექსპლუატაცია და ეკოლოგია. თბილისი. ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ”.2009.გვ.118 .
8. ზ. ბოგველიშვილი, ჯ. იოსებიძე, ო. გელაშვილი. ავტომობილების საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება. - თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, 89 გვ.
9. რ. ველიჯანაშვილი, ნ. თოფურია, ნ. დიასამიძე. საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ექსპერტიზა. - თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, 34 გვ.
10. ზ. ბოგველიშვილი, რ. ველიჯანაშვილი, რ. ცხვარაძე. საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება. - თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, 26 გვ.
11. ჯ. იოსებიძე, დ. ფრიდონაშვილი. ავტომობილის შასის მოწყობილობა. თბილისი, 2008.

12. ო. გელაშილი, ჯ. ხმიადაშვილი „ავტომობილების ტექნიკური მომსახურება“ „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი 2006წ. გვ. 373.
13. ვ. ქართველიშვილი, დ. ძოწენიძე, ნ. ნავაძე - საავტომობილო გადაზიდვები, სტუ, 2006 წ. გვ.384.
14. ნ. ნავაძე, ვ. ქართველიშვილი, თ. გორშკოვი - სამგზავრო საავტომობილო გადაყვანები. საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2009 წ. გვ. 338.

### მოდული „სარკინიგზო ტრანსპორტი“

1. ა. ჩხაიძე. წიგნი I. გადაზიდვითი პროცესის ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე. თბილისი. 2001. 448 გვ. უაკ. 656. 2. (075.8).
2. ა. ჩხაიძე. წიგნი II. გადაზიდვითი პროცესის ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე. თბილისი. 2001. 349 გვ. უაკ. 656. 2. (075.8).
3. სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები. თბილისი. 1999. 199 გვ. უაკ.656. 22(003.4)/3.
4. სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობის და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია. 2000. 347 გვ. უაკ. 656. 22(005)/2.
5. სარკინიგზო ტრანსპორტზე სიგნალიზაციის ინსტრუქცია. 2001. 138 გვ. უაკ. 656. 25(005)/6.
6. შარვაშიძე ა. გოგიშვილი დ. შარვაშიძე კ. რკინიგზის მოძრავი შემადგენლობები. თბილისი. 2013. 177 გვ.
7. ი. როინიშვილი. ვაგონები, თეორია, კონსტრუქცია. გაანგარიშება. 1988. 374 გვ. უაკ. 625.2.
8. ა. დუნდუა. ავტომატიკისა და ტელემექანიკის სასადგურო და საგადასარბენო სისტემები. I ნაწილი. თბილისი. 2009 წ. 271 გვ.
9. ა. დუნდუა. ავტომატიკისა და ტელემექანიკის სასადგურო და საგადასარბენო სისტემები. II ნაწილი. თბილისი. 2013 წ. 478 გვ.
10. ს. კარიპიდისი. ჯ. სანიკიძე. ელექტრული წევის საფუძვლები. თბილისი 2014 წ. 399 გვ.
11. გ. შარაშენიძე, ე. მოისწრაფიშვილი, ს. შარაშენიძე. ლიანდაგისა და მოძრავი შემადგენლობის ურთიერთქმედება. თბილისი 2008. 244 გვ.

